# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 1—2 | 1883—1905 | 15—30 იანვარი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება**: რედაქციისაგან.—საახალწლო საუბარი მკითხველთან, დეკ. დ. ღამბაშიძისა. —ელების კოლიზეი, მისივე.—მწარე ფიქრები, სოფლის ხუცისა.—ქართულ საეკკლესიო სამხმიან და ოთხ-ხმიან საგა-ებისათვის.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე**: საუბარი დაბადებიდან, ლიდან) ს. გორგაძის.—ახლად შობილ ქრისტეს აკვანთან, (საშობაო მოთხრობა მოგვებთა თაყვანისმცემლობაზე), ანი...ის.—განცხადება.

## რედაქციისაგან.

წ... ...ლში „მწყემსი"-ს ჟურნალთან ცალკე დამა-... „...ერი და სამკურნალო" ფურცელი უნდა გამო-... დამატების გამოცემა ძლიერ საჭიროდ მიგვაჩნდა. ...ან ჩვენი ხალხი მიყრუებულ სოფლებში მეტის მეტად ...იტება სუ... ...ალო ავადმყოფობისაგან. სრული იმედი ...ნდა ამაზედ ნებართვას მივიღებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ...აგან მინისტრის პლევესაგან ნებართვა ვერ მივიღეთ. ჩვენ ... ხელახლა აღვძარი... ...თხოვნა ამ დამატების მიღებაზე და ...ი გვაქვს მალე იქნეთ მივიღოთ ეს ნებართვა.

...ვისაც ერთი მანეთი მეტი ჰქონდა წარსულ წელში ...ოდგენილი რედაქციაში ამ წელში ჩაერიცხება ეს ერთი ...ი ჟურნალზე ხელის მოსაწერ ფულზე და ვინც ისურვებს დაბრუნებას შეტყობისათანავე დაებრუნება ფოსტით.

## საახალწლო საუბარი მკითხველთან.

მოგილოცავ ჩვენო ძვირფასო მკითხველო ახალს წელს, ღმერთმან მრავალს მიგაგებოსთ ბედნიერად და მშვიდობით. ღმერთმან აღგისრულოს ყოველივე შენი სურვილი, მიმართული შენ მოყვასთა და მოძმეთა საკეთილ-დღეოდ და შენი მამულის აღსაღორძინებლად. ღმერთმან ნუ მოგიშალოს იმედი უკეთესი დროის დადგომისა და ცხოვრების გაუმჯობესებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ გახსოვსთ კარგად, რა აღტაცებით ვეგებებოდით ახალ წელს 31 დეკემბერს 1903 წელში! რა იმედები გვქონდა მომავალი ახალი წლისა, მაგრამ როგორი შეიქნა ჩვენთვის წარსული 1904 წელიწადი? ღმერთმან ჩვენ ყველანი გვაშოროს იმისთანა წელიწადს როგორიც იყო ეს 1904 წ. თუ საზოგადოდ ყველასათვის არა ჩვენ დაბეჩავებული საქართველოისათვის იგი იყო მეტის-მეტად უბედური. ამ წელში სიკვდილმა მოგვტაცა დიდად შესანიშნავი მოღვაწე პირები: ექიმი ს. ბ. თოფურია და შესანიშნავი ქველ-მოქმედი ბ. ს. ზუბალაშვილი. დასავლეთ საქართველოს მოაკლდა გულშემატკივარი და უვეცხლო მკურნალი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს შესანიშნავი ქველ-მოქმედი ს. კ. ზუბალაშვილი. წარსულ წელში თავი იჩინეს ჩვენში ავაზაკებმა, რომელთაც თავისი საქციელით ყოველი ავაზაკები გააკვირვეს. ბევრი აღარ დარჩენილა ჩვენში ეკკლესიები განუძარცველი. ისეთი მონასტრები, რომელთა გაძარცვა არც ერთ ავაზაკს და ყაჩაღს არ განუზრახავს წარსულ წელში განძარცულ იქნა ქრისტიან ქართველ ავაზაკებთაგან. ფოსტის მოტაცება, ბანკებზე და ხაზინაზე თავდასხმა რაღაც ჩვეულებრივ მოქმედებად შეიქმნა. ხალხის გაჭირვებამ იქნამდისინ მიაღწია, რომ ბათმანი სიმიდის ქბილი მანეთად იყიდებოდა. ყველა ამას თან დაერთო საოცარი სისხლის მღვრელი ომი იაპონიის ხალხთან თორმეტი ათასი ვერსის იქით აღმოსავლეთში. რუსეთს არც ერთ იაპონიისთანა ძლიერ მტერთან არ ჰქონია ომი და არც ერთ ომში ამდენი ზარალი არ უნახავს რამდენიც ამ ომს მოყვა. ომის ყოველ უბედურობის მოზიარენი ჩვენც შევიქენით ფულით და ჩინებული მამულის შვილების შეწირვით. რამდენი დაიხოცენ და დანარჩენს რა შეემთხვევა ვინ იცის! მცირე რიცხოვან ქართველების ხალხი თორმეტი ათასი ვერსის სიშორეზე იკარგვის რუსეთისთვის და თავიანთ ქვეყანას ეთხოვებიან საუკუნოდ! ისედაც მცირე ქართველების რიცხვს აკლდებიან. მართალია გვპირდებიან მათ მაგიერ სხვა ხალხის გადმოსახლებას და ცარიელი ადგილების მათგან მჭიდროდ დასახლებას, მაგრამ იგინი ჩვენ ქვეყნის დანაკლისი შვილების მაგიერობას ვერ გაგვიწევენ...

დიახ, ხშირად ვრჩებით ჩვენ ასე მოტყუებულნი ახალი წლით, ბევრს რამეს გამოველით, მაგრამ თუ განგებამ არა ისურვა-რა ჩვენთვის ახალ წელს არაფრის მოტანა არ შეუძლია. მოტყუებულია ყველა ის ვინც ახალი წლიდან მოელის ბედნიერებას და კეთილ ცხოვრებას. ბედნიერი და კეთილი ცხოვრება თავისით არასოდეს არივის მიდგომია კარს, და არც ჩვენ მოგვენიჭება, რასაც დასთეს იმას მოიმკი.

ნუ დაივიწყებ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ერთ რამეს ურომლისოდ შენ კეთილდღეობითი ცხოვრებას ვერ ეღირსები. ვისურვებ შენთვის მკითხველო ჭეშმარიტ ქრისტეს სარწმუნოებას და ნამდვილ კეთილ-ზნეობას. იქნება ჩემმა ამ უკანასკნელმა სურვილმა კიდეც გაგაკვირვოს შენ, ვინაიდან დღეს, ზოგიერთების აზრით, ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა მეტ ბარგად არი[illegible] მიჩნეული! დიახ, დღეს ზოგიერთი ჩვენი «განათლებული» პირები ფიქრობენ, რომ სარწმუნოებ[illegible] ვითომ ხალხის კეთილ-დღეობას, განათლებას, თავისუფლებას და კეთილ-მართვა გამგეობას წინ ეღობებოდეს და ხელს უშლიდეს. ნუ დაიჯერებ მკითხველო, ამ „განათლებულ“ პირთა ქადაგებას და სიტყვას, რადგან იოტის-ოდენა სიმართლე არაა მათ ამისთანა რწმენა-ქადაგებაში. ამ სიტყვებით ყველა ეს «განათლებულნი» ამტკიცებენ თავის უვიცობას და რეგვნობას საღმრთო წერილის და ხალხის ისტორიის საქმის ცოდნაში. ხალხის გონებითი განათლება და ზნეობითი ამაღლება დაიწყო სწორეთ ქრისტეს სჯულის დაარსების შემდეგ. გადაათვალიერეთ ხალხის გონებითი განათლება, თავისუფლება და კეთილად განწყობილი მართვა გამგეობა და პროგრესიული ცხოვრების მიმდინარეობა. სად უფრო არსებობენ იგინი? ამერიკისა და ე[illegible]პის სახელმწიფოებში, ინგლისში, გერმანიაში, [illegible]ცარიაში, იტალიაში და საფრანგეთში. თუ ა[illegible]ნიშნულ სახელმწიფოებში სარწმუნოება წი[illegible]ეღობებოდა ხალხის განათლების საქმეს, ხელ[illegible] უშლიდა პროგრესიულად წინ სვლას და მათ კე[illegible] განწყობილ მართვა-გამგეობას, მაშ როგორღა [illegible]ძლება ჩვენში ქრისტიანულმა სარწმუნოებამ კეთილ-ზნეობამ იქონიოს წინააღმდეგი გავლენ[illegible] სად არის უფრო მეტად აღიარებული ერთობა, ძმო[illegible] და სიყვარული, ჩვენში თუ ევროპის და ამერი[illegible] სახელმწიფოებში? თუ კი იქ არას უშლის ქრის[illegible] სჯული და ზნეობა ჩვენში როგორღა დაგვაბრ[illegible]ლებს პროგრესიულად წინ სვლის საქმეში ქრის[illegible] სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა? დიახ, აქ რაღ

ეროვნული

გაუგებარია ჩვენ ახალ-მოდის მოქადაგეთათვის. გაუგებარია მათთვის საღმრთო წერილის შინაარსი და ამისთანა გაუგებარმა და უვიცმა რა უნდა გითხრას თქვენ საფუძვლიანი და ჯეროვანი სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის შესახებ?..

*
* *

როცა სოფელში სახადი მძვინვარებს სოფლის უვიცი ხალხი ამ ავადმყოფობის გამჩენად და ხალხის ჟლეტის მიზეზად „ბატონები“ მოჰყავსთ. ხშირად ავადმყოფობას „თვალის-ცემას“ და „აყოლილს“ მიაწერენ. სწორეთ ასე უსაფუძვლოდ, ასე უმართლოდ სჯის არა თუ ჩვენი უვიცი სოფლის ხალხი, არამედ ჩვენი პრესსაც და შემცდარ ხალხს უარესად აცდენს, როცა ბეჭვდითი სიტყვით ატყობინებს საზოგადოებას, რომ მღვდელი ლხინზედაც დ ჭირზედაც ბევრს ახდევინებს გლეხსაო. მართალია გლეხს მეტის-მეტად ბევრი ეხარჯება ჭირზედაც და ლხინზედაც, მაგრამ, რა შუაშია აქ მღვდელი. გლეხმა რომ ესრეთ წოდებული „სულის საქმისთვის“ ყველა ცხოველები დახოცოს, მთელი სოფელი მოიწვიოს და გაუმასპინძლდეს რა მღვდლის ბრალია? თქვენ იტყვით, სასულიერო წოდება რატომ არ მოაშლევინებს და არ უქადაგებს ამ მავნე ჩვეულების მოშლასო. განა ცოტა უქადაგეს ამის შესახებ სამღვდელოებამ? განსვენებული ყ-დ სამღვდელო გაბრიელი უკანასკნელ დროს სწორეთ ამ მიზნით დადიოდა და მთელს ეპარქიაში არ დაუტოვებია სოფელი, რომ ერთად შეკრებილ მრევლთათვის არ განემარტებიოს და არ დაემტკიცებიოს, მავნებლობა და ხალხის დაღარიბება უბრალო ხარჯის ჩადენით ქორწინების, ნათვლისა და გარდაცვალებულთა დამარხვის დროს. უკანასკნელად იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი არა-თუ სიტყვით, არამედ საქმით შეუდგა სხვა-და-სხვა დამღუპველ ჩვეულებათა მოსპობას და მოითხოვა საზოგადოებისაგან თავი დაენებებიათ უბრალო და ამაღარიბებელ ჩვეულებათა ასრულებას. ისმინა ხალხმ? არა-თუ ისმინა, არამედ ზოგიერთები მტრად გადაეკიდენ!.. აქ მაინც-და-მაინც გასაკვირველი არა არის რა. უხსოვარი დროიდან კაცი შეჩვეულ ჩვეულებას ასე მალე ვერ გადაეჩვევა. მაგრამ დიდი სარგებლობა მოიტანა უკანასკნელ დროს მოხდენილმა მღვდელ-მთავრის განკარგულებამ იმერეთში. იმერული თვალთმაქცურ გარდაცვალებულთა გამოტირილი თან და-თან ისპობა და ცოტა ხნის შემდეგ სასაცილო მოგონებად დარჩება ეს ფაქტი მოწმობს ჩვენ იმის დასამტკიცებლად, რომ ერთად-ერთი დამრიგებელი და გამაფრთხილებელი საზოგადოებისა უბრალო ხარჯების მოსპობის საქმეში იყო, არის და იქნება სამღვდელოება და არა ჩვენი ახალმოდის მოქადაგენი. ამისათვის დიდი შეცდომა, დიდი ცილის წამება არის როცა სამღვდელოების შესახებ ამბობენ, რომ მღვდლის ხარჯი ხალხს აწუხებსო.

*
* *

ხალხს ენიშნება მოსამართლე, ადმინისტრაციის მოხელეები, ხაზინადრები და სხვა-და-სხვა წესიერების დამცველნი. მათ ენიშნებათ აგრეთვე მღვდლები და მედავითნეები. როცა რომელიმე მოხელეთაგანი სებული კანონისამებრ არ იქცევა მას უჩივლებენ და თუ არ გასწორდა მოაშორებენ. ესევე უნდა ითქვას მღვდელზედაც. ვინ იტყვის იმას, რომ ყველა მღვდელი თავის დანიშნულებისამებრ იქცეოდეს. მაგრამ მათაც უმფროსი ყავს და ყველას შეუძლია უჩივლოს. ერთი დამნაშავე მღვდლისათვის მთელი წოდების თავიდან მოშორება და მოსპობა შეუძლებელია. არავის ქვეყანაზე არ შეუძლია ისე იცხოვროს რომ, რომელიმე სარწმუნოება არ აღიაროს. ერთ სარწმუნოებას თუ დასტოვებ მეორეს მიიღებ. ქრისტიანობას თუ დასტოვებ, ღმერთს, ქვეყნის შემქნელს თუ არა სცემ თაყვანს, უთუოდ ეშმაკს ირწმუნებ და მას დაემონები. არ გჯერათ ეს? აბა მიჩვენეთ ხალხი დედამიწაზე, რომელი სცხოვრებს ისე რომ არაფერი არა სწამდეს,—ურწმუნონი კეთილდღეობდენ?.. დედამიწაზე თქვენ ამისთანა ხალხს ვერ დამისახელებთ... თქვენ იქნება იაპონელებზე და ჩინელებზე მიგვითითოთ. თუ ესე ფიქრობს ვინმე ძლიერ შემცდარი იქნება. ჩინელების ხანგრძლივი ისტორია და იაპონელების განათლება და მშვენიერი ცხოვრების წეს-წყობილება სწორეთ მათი სარწმუნოების შედეგია. წაიკითხეთ ნოძუს სიტყვა, თქმული ჯარის წინაშე, რომელიც გარდაცვალებულთა სულებს ელაპარაკება ისე, როგორც ცოცხლებს ცათაშინა. ამას ჩადის ისეთი განათლებული და დიდი გენერალი როგორიც ნოძუა. ჩვენში თუ ვინმემ პატარა ტემლაკი დაიკერა მხრებზე, მშვიდობით! ეკკლესია სრულებით ავიწყდება და სძულს ყოველი სასულიერო პირი. იაპონელებსაც აქვს თავისი მცნება, რომელსაც არავინ არ დაარღვევს. ამ ბოლო დროს ისინი გაეცნენ ჩვენ ათ-მცნებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძლიერ მოიწონეს. ოთხმა მილიონმა იაპონელებმა ქრისტეს სჯული მიიღეს და გაქრისტიანდენ. მაგრამ სამწუხაროდ, შეგვარცხვინეს ევროპიის სახელმწიფოების ჯარებმა ქრისტიანები, რომელნიც იქცეოდენ არა ქრისტიანულად, არამედ ბარბაროსულად. რატომ? მიტომ, რომ არც-ერთმა მათგანმა არ იცოდა ათი მცნება ღვთისა, ან იცოდა მაგრამ არ ასრულებდა.

*
* *

ამბობენ სადღაცა ჩვენ მხარეში ისეთი წესი შემოიღესო, რომ იქ აღარც ქურდობა არის, აღარც მოსამართლე სჭირდებათ დ აღარც ადმინისტრაციაო. მოისპო ყოველივე საჩივარი და უსაქმოთ მოსამართლეები და მოხელენი ძლიერ მოწყენილი არიანო! ეს სწორეთ ძლიერ სასიამოვნო ამბავია. მე ვფიქრობ, რომ ამ ხალხს სწორეთ პირობა დაუდვია მტკიცედ აღასრულონ ათი მცნება მოსესი. დიაღ, თუ ათი მცნებას აღასრულებს ხალხი მაშინ აღარავინ საჭირო არ იქნება, მოისპობა ქურდობა, მტაცებლობა, ცარცვა გლეჯა, გარყვნილება, კაცის-კვლა და ყოველივე ის რაც ხელს უშლის საზოგადოების კეთილ-დღეობას და ბედნიერ ცხოვრებას. ჩვენ ქრისტიანებმა რომ შევიგონოთ სახარების მცნება, შევიყვაროთ ყველანი და არავის არა უყოთ-რა ისეთი რაც ჩვენთვისაც არ იქნება სასიამოვნო, ე. ი. შევიყვაროთ მოყვასი როგორც თავი თვისი, ყოველივე ცუდ-კაცობა მოისპობა და მსწრაფლ დამყარდება ყოველ კაცთათვის ნეტარი ცხოვრება ამ ქვეყანაზე; აღარც გრაფ ტოლსტოის გამოგონილი ათი მცნება იქნება საჭირო და აღარც სხვა რამე. მაგრამ ეს ქრისტიანული მცნებები ჩვენ ვიცით, რომ სახარებაში სწერია, თორემ იმის ასრულება ისე არ მიგვაჩნია სავალდებულოდ როგორც ისრაილის ხალხი არ ასრულებდა. დიდის აღტაცებით მიიღეს ეს მცნებანი მოსესაგან ისრაილებმა და კიდეც ზეპირად შეისწავლეს, მაგრამ ყოველ უცხო ხალხს ჟლეტდნენ და თავიანთ მოძმეთაც არ ზოგავდენ. ბოლოს ამ ათი მცნების მიმდევნი ისრაილები ისე დაეცენ ზნეობით, რომ საჭირო შეიქნა ათი კაცისათვის თითო გზირად დაენიშნათ, რომ ერთმანეთი არ აეკლოთ!.. ათ-მცნებას კი ყოველ დღეს კითხულობდენ!..

*
* *

„ცნობის ფურცელში“ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ საგულისხმო სიტყვებს წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს ხსენებისა გამო 14 იანვარს:

„14 იანვარს, ქართველი ერი პა[illegible] მოიგონებს თავის განმანათლებელის წმ. ნინოს ხსენებას. ადამიანის ძვირფასი ღირსება და მასთან წმიდა მოვალეობაა, ყოველთვის აფასებდეს, არ ივიწყებდეს და სიყვარულით მოიგონებდეს იმათ, რომელნიც იბრძოდნენ წარსულში უკეთეს ცხოვრებისათვის, ავრცელებდნენ სინათლეს დ სიყვარულს მოყვასთა შორის. ვინც რა მიმართულებისა უნდა იყოს დღეს, პატივს უნდა სცემდეს იმ ისტორიულ მოღვაწეებს, რომელნიც ითმენდნენ ათას-ნაირ გაჭირვებას, დევნას, შიმშილს და სიცივეს მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტაც არის, წინ წაეწიათ, თავის შეძლების დაგვარად, ბნელით მოცული და დაჩაგრული [illegible] ჩავებული ცხოვრება მოძმეთა.

ისტორიული მნიშვნელობა ქრისტიანობის გავრცელებისა ჩვენში ყოველს ექვს გარეშეა და სამწუხაროც იქნებოდა, რომ ამის დამტკიცება საჭირო იყოს. სამწუხარო დღეს მხოლოდ ის არის, რომ ქართველებს არ შეუძლიათ დაუბრკოლებლად იდღესასწაულონ იმ ადამიანის სახელი, რომელსაც იმდენი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე...

რატომ? რა აბრკოლებს, რას ეწინააღმდეგება, რომ ქართველმა ერმა საჯაროდ იუქმოს დღევანდელი დღე! რისთვის უნდა იყოს, მაგალითად, მიუტევებელი დანაშაულობა, რომ ქართველი ბავშვები დღეს არ წავიდნენ სკოლაში? განა თვითონ ამ სკოლის პირდაპირი მოვალეობა არ არის აღზარდოს მოსწავლეებში პატივისცემა შესანიშნავ ადამიანებისადმი?.. იმიტომ, რომ ჩვენ ქართველები ვართ და წმ. ნინო იყო ჩვენი, ქართველების, განმანათლებელი?..

მეორე საგანი, რომელსაც აუცილებლივ უნდა მივაქციოთ დღეს ყურადღება, არის ქართულ ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა. მეცხრამეტე საუკუნემდის საქართველოს ეკლესია იყო იმგვარადვე დამოუკიდებელი, შემოსილი იყო ისეთისავე უფლებებით, როგორც რუსეთის ეკკლესია. მაგრამ წარსულ საუკუნის დამდეგს, როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს და დაჰკარგა პოლიტიკური თვით-არსებობა, პოლიტიკური მოსაზრებით მოისპო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობაც, და დღეს ქართულ ეკლესიას ქართული არაფერი შერჩენია, იგი ემსახურება არა-თავის დანიშნულებას, არამედ სულ სხვა გარეშე საგანს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაღ, დიდათ სამწუხაროა, რომ 14 იანვარს არ აღდესასწაულებინებენ ჩვენ მოწაფეთა. მაგრამ ვინ უშლის მოსწავლეთა მშობლებს ამ დღის დღესასწაულობას, რომ ამ დღეს მივიდნენ და წირვა მოისმინონ ეკკლესიაში. მართალია რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენი დღესასწაულები როგორღაც მირჩნენ და მარტო სამღვდელოებამ ვერა გაარიგა-რა, მაგრამ სად არიან ჩვენი ხალხის წარმომადგენელნი, რომ ამისთანა სერიოზულ საქმეზე კრინტი არ დასძრეს? როდეს ითხოვეს მათ ამ დღის დღესასწაულობა და როდეს უთხრეს უარი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ. «კალამს» სიტყვა «ეკკლესია» სხვა ნაირად ესმის. თუ ეკლესიად მას მარტო ტაძრები და მათში მოსამსახურე მღვდლები მიაჩნია—შემცდარი ყოფილა. თუ ეკკლესიად მას მიაჩნია მთელი საზოგადოება, აღმსარებელი მართლმადიდებელი ეკკლესიის დოღმატებისა და საიდუმლოებისა მაშინ ამ მოსწრებული შენიშვნის ავტორი თავის-თავს სდებს ბრალს. ჩვენ რათ დავკნინდით დ̃ დავეცით ასე? განა ქვეყანაზე ნახავთ კიდევ ხალხს, რომ ისე აბუჩად, ისე გულგრილად უყურებდეს თავის ეკკლესიის და სასულიერო წოდების საქმებს როგორც ჩვენი ქართველი? ამ გულგრილობამ გამოიწვია სამწუხარო მოვლენანი და კიდევ მეტს ვნახავთ თუ ჩვენი ხალხი ასე გულგრილად მოექცა ისეთ სერიოზულ კითხვებს, როგორიც არიან ეკკლესიის და სასულიერო წოდებისა... ბექდვითი სიტყვით გამოცხადება: „სამღვდელოება ემსახურება არა თავის დანიშნულებას, არამედ სულ სხვა გარეშე საგანს“-ო მეტის მეტად უსაფუძვლო და უმართლოა, რომელსაც ცხადათ შენიშნავს ყოველი მკითხველი. ამ სტატიის შესახებ შემდეგ ნომერში კიდევ დაიბეჭდება ერთი პატივცემული პირის საპასუხო წერილი.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## ქართველების კოლიზეი.

ევროპის სახელმწიფოების ყველა შესანიშნავ შენობებში რომში გამაკვირვა კოლიზეიმ. ვფიქრობდი, რომ მთელ დედა-მიწაზე ეს უნდა იყოს ყველაზედ უდიდესი შენობა და მართლაც ასედაც არის მიჩნეული. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩვენ პატარა საქართველოშიაც რამე იქნებოდა სიდიადით რომის კოლიზეის მსგავსი. და ნამდვილად-კი ჩვენს თბილისშიაც აშენებულა „მეორე კოლიზეი“ ქართველებისათვის.

ეს კოლიზეი არის მომავალ სათავად-აზნაურო სასწავლებლისათვის აგებული შენობა ქ. თბილისში. რომში კოლიზეი იყო აშენებული ხალხის გასართობად, და ზოგიერთი გართობაც მეტად მტარვალური იყო, როგორც მაგალითად ქრისტიანეთა წვალება სხვა-და-სხვა გაათრებულ მხეცებისაგან. ასე რომ ამ შენობას დიდებულ წარსულთან, ბევრი მწვავე მოგონებაც აქვს დარჩენილი.

ქართველების კოლიზეის-კი მიზნად აქვს უდიდესი და უმშვენიერესი დანიშნულება—მოზარდთაობის აღზრდა-განვითარება და განათლება. ამ სასწავლებელში უნდა იწვრთნებოდეს ყოველ-წლიურად 700—800 ახალგაზრდა ქართველი ჭაბუკი და იზრდებოდეს ისე, რომ მრავალი დაბრკოლება, რაც თითქმის ვერცერთ სასწავლებელს ვერ აუშორებია, აქ მოშორებული იქნეს. ამ დიდებული შენობის აგებას საფუძვლად აქვს დადებული ყოველივე მოთხოვნილება მეცნიერული პედაგოგიის. როგორც განზრახულია მისი დამთავრება, თუ ყოველივე ისე მოეწყო და დასრულდა, არც ერთ ადგილას, არა თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ უცხოეთშიდაც, არა გვგონია, მსგავსი ამ სასწავლებლის შენობისა რამე იქნეს.

როდესაც ჩვენი ქვეყნის ძველს შენობებს ათვალიერებენ, მწუხარებით იტყვიან ხოლმე, ეს შენობები ძველი ქართველებისაგან არის აშენებულიო და ეხლანდელ ქართველობას აღარ შეუძლია ამისთანა დიდებული შენობის აგებაო. მაგრამ ამ ახალი შენობის დამთვალიერებელი დარწმუნდება, რომ ეხლანდელ დროშიაც-კი ყოფილა შესაძლებელი დიდებული შენობების აგება, თუ თაოსნობა და გაბედულება დაედება საქმეს საფუძვლად. რასაკვირველია, მარტო ეს არ-კმარა, თუ ნივთიერი წყაროც არ აღმოუჩნდა ამისთანა დიდებულ საქმეს. და სწორედ ამიტომაც სრულდება ეს საქმე ასე საქებურად, რომ ერთიცა და მეორეც თან დაჰყვა ამ საქმეს.

მეთაური ამ დიდებული შენობის დაწყების და აგებისა არის ბ-ნი ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე. რამდენიმე წელიწადია, რაც მან განიზრახა ამ საქმის განხორციელება და ცოტაოდენის თანხით შეუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებული საქმის მუშაობას. ადგილი აირჩია საამისოდ მოხდენილი და მშვენიერი, ქალაქის ახლოს, ვერაზე, სადეთაც ქალაქი იწევს დღითიდღე, ასე რომ მალე თვით შენობაც ქალაქის ჭდეში იქნება. გეგმა შედგენილია თვით ბ-ნ ცხვედაძის ხელმძღვანელობით ხუროთ-მოძღვრის ბ-ნ სიმონ კლდიაშვილისაგან. თვით შენობის კედლები და სახურავი უკვე მზად არის. დანარჩენ მოწყობას მოუნდებიან კიდევ წელიწად-ნახევარს. შენობის დასრულებისათვის ნავარაუდევია სულ ნახევარი მილიონი მანეთი. მაგრამ ეს ფასი ძალიან მცირეა შედარებით იმასთან, რაც კეთდება, რომ თვით ამგების მოხერხებას და ყაირათიანობას არა, ამგვარი შენობა ერთი ორად დაჯდებოდა. ეხლა ვიკითხოთ საიდან გაჩნდა ეს ფული, როდესაც ქართველები ცნობილი ვართ თავის ხელმოკლეობით.

დაწყებული იყო საქმე მცირეოდენის თანხით. შემდეგ განზრახული იყო, რომ თავად-აზნაურობა და კერძო ქველ-მომქმედნიც აღმოუჩენდნენ შემწეობას. მართლაც მოთავე ამ საქმისა არ მოსტყუვდა. თავად-აზნაურობამაც აღმოუჩინა შემწეობა და კერძო ქველ-მოქმედნი პირებიც აღმოჩნდენ, „ჩვენებურად", «ძველებურად». ამ ქველმოქმედთა შორის უნდა დავასახელოთ განსვენებულნი: სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი და კონსტანტინე ივანეს-ძე მუხრან-ბატონი, რომელთაც დიდი თანხა შესწირეს ამ დიდებულ შენობის ასაგებად. დღესაც ბ-ნი იაკობ კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილი, იშვიათი ქველ-მოქმედი ჩვენი დროისა როგორც პირადად, ისე განსვენებულ ძმის სახელითაც მეტის-მეტად დიდ ქონებრივ დახმარებას უწევს ამ შენობას.

ეხლა საეჭვო აღარ არის ამ შენობის ღირსეულად დასრულება. სწორედ რომ დიდებულ ღვაწლით უნდა ჩაუვარდეს ამ საქმის მეთაურს ასეთი შენობის აგება, რითაც მან ნათლად დაამტკიცა, გულგატეხილ ქართველთა ჭკუის სასწავლებლად, რომ არაფერი არ არის შეუძლებელი, თუ კი ძლიერი სურვილი, საქმის ცოდნა და სიყვარული, მხნეობა და გაბედულობა დაედება საფუძვლად განზრახულ საქმეს. სულითა და გულით მონდომებული საქმე, რაც უნდა ძნელი იყოს, და ბევრ ჯაფას ითხოვდეს, თვითონ ხდება გამამხნევებელ წყაროდ ზოგიერთი ადამიანისათვის და შეაძლებინებს ხოლმე ერთ ადამიანს იმას, რასაც მთელი ჯგუფიც-კი ვერ მოახერხებს.

დეკ. დ. დამბაშიძე.

---

## მწარე ფიქრები.

ამბობენ, რომ ხალხი განათლდა გონებით და ჰუმანიურადო. წყევა-კრულვით მოიხსენებენ რომის კოლიზეიში ქრისტიანების ტანჯვა-წვალების მაყურებელთ; უკვირსთ მაყურებელთ გულქვაობა, რომელნიც ამ საყურებლებით კიდეც სიამოვნებდენ. ბევრს გონია, რომ დღეს კაცობრიობა დამშვიდდა, სათნონი შეიქმნენ და ქრისტიანულ კაცთ-მოყვარეობამ ღრმად გაიდგა ხალხის გულში ფესვები. მეტი თქვენი მტერი ნუ არი. გაგიგონიათ ოდესმე ამდენი ცარცვა-გლეჯა, ქურდობა, კაცის კვლა, ეკლესიების და მონასტრების გატეხა და გაძარცვა? ვგონებ არასოდეს... ნუ თუ ეს ნიშნები იმას ამტკიცებენ, რომ ხალხი როგორც დრო მიდის ჰუმანიურად და გონივრად თან-და-თან ნათლდება და უკეთესდება? საეჭვოდ მიმაჩნია...

* * *

დიდათ განათლებული და მეცნიერი ბოკლი წინასწარმეტყველებდა, რომ ორმოც-და-ათი წლის შემდეგ ხალხი ისე განათლდება, რომ ომიანობა სრულებით მოისპობაო. თითქმის ისე ერწმუნებოდენ მის წინასწარმეტყველებას როგორც მისგან გამოცემულ წიგნს История цивилизаціи въ Англіи. აბა ერთი თვალი გადაავლეთ აღმოსავლეთის მხარეს, რუსეთ-იაპონიის ომს. რა ხდება და რა ამბავია იქ? განათლებული ევროპის სახელმწიფოები შორიდან იცქირებიან და აქეზებენ ორ სახელმწიფოს, რომ უფრო გაბრაზდნენ და კაცთა სისხლის ზღვა დააყენონ. ხელს უწყობენ მეომართა უფრო მეტი ხალხი გაჟლიტონ და ერთი რომელიმე მოჩხუბართაგანი დასცენ და გაანადგურონ. მერე ვინ არიან ეს მაყურებლები და რომელ სარწმუნოებას აღიარებენ? სხვათა შესახედავად იგინი არიან ქრისტეს სჯულის აღმასრულებელნი ‹ნამდვილად-კი არც-ერთ სჯულს არ აღიარებენ! რომ ქრისტიანები იყვნენ იგინი, მაშინ ქრისტეს მცნებისამებრ მოიქცეოდენ და ორ მოჩხუბარ სახელმწიფოთა შეარიგებდენ და მშვიდობას ჩამოაგდებდენ. განა ევროპის სახელმწიფოებს არ შეეძლოთ იაპონიაც და რუსეთიც დაეყმაყოფილებიათ მორიგებით? განა არ შეეძლოთ იაპონიის და რუსეთის მოთხოვნილებანი მედიატორის სამართლით გაეთავებინათ და თუ რომელიმე მხარე არ მიიღებდა ევროპიის სახელმწიფოების განაჩენს ძალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეტანებიათ და ამდენი ხალხი არ გაეჟლიტათ? (და ვინ იცის კიდევ რამდენი ათასი კაცის სიცოცხლე მოისპობა). სამწუხაროდ ომიანობა დღესაც არ აქვს კაცობრივობას კარგად გამოკვლეული. ზოგს ომით სისხლის ღვრა უსაჭიროეს მოვლენად მიაჩნია.

„ცნობის ფურცლის" მე-1698 ნომერში არის საინტერესო სტატია გადმობექდილი რუსულ ჟურნალის Міръ Божiн-დან გამოჩენილი კაცების საინტერესო აზრები შესახებ ომისა. მოგვყავს ზოგიერთი შესამჩნევი კაცების შეხედულება ომიანობაზე.

გენერალი დრაგომიროვი ამბობს: „ბუნებაში ყველაფერი ბრძოლაზე არის დაფუძნებული და კაცი ხომ ვერ გადაუხვევს ბუნების კანონს. ომი წინააღმდეგია ადამიანის ბუნების ერთის მხრისა, ადამიანის თავის დაცვის ინსტიქტია, მაგრამ სრულიად არ არის წინააღმდეგი ადამიანის მთელის ბუნებისა, მით უმეტეს გონებისა"... «ომი შეწყდება, როცა არც მატერიალურს, არც სულიერს ცხოვრებაში არაფერი ახალი არ იქნება, ე. ი. როცა კაცობრიობას გამოელევა სულიერი შინაარსი". თურმე, ნუ იტყვით, ხსენებულ გენერლის აზრით, ომი, ადამიანის მიერ თავისს მზგავსთა ხოცვა-ჟლეტა, შეადგენს შინაარსს ხალხის ნორმალურ ცდოვრებისას, და მერე როგორ? სულიერ შინაარსს! ამავე აზრის იყო გერმანელი გამოჩენილი სარდალი მოლტკე. ის ამბობს: «ომი აუცილებელი ნაწილია ღვთისაგან დადგენილ წესწყობილებისა. ომი წმიდაა. იგი ღვთისაგან დაწესებულია და ამიტომ საყოველთაო კანონია".

ეგრედ წოდებულ «ბოროტებისადმი მორჩილების» მოძღვრების მიმდევარნი ქადაგებენ, რომ რაც უნდა შეგხვდეს ცხოვრებაში, ყველაფერს მორჩილებით უნდა ითმენდეო. ეპისკოპოზი ავგუსტინი სწერდა: «მცნებას: არა კაც ჰკლა, სრულიადაც არ არღვევენ ისინი, რომელნიც ომობენ ღვთის მინდობილობით ან იმის კანონების თანახმად საზოგადოების წარმომადგენელნი სიკვდილით სჯიან ბოროტმოქმედთაო». იგივე სულიერი მამა ქადაგებდა, რომ ღვთიური განგება ომით ასწორებს და ანვითარებს ადამიანთა ზნე-ხასიათს, წმიდასა და მართალს ცხოვრების მომაკვდავთა განამტკიცებს დამარცხებით, განსაცდელის შემდეგ ან უკეთესს ცხოვრებაში გადაასახლებს, ან ქვეყნად ანარჩუნებს ქვეყნის წასაქეზებლადაო.

ჰეგელი ამბობს: „ომი საჭიროა გონებრივ განვითარებისათვის; იგი ამაღლებს ადამიანს, ო ის დროს ადამიანი უფრო მკაფიოდ ჰხატავს თავ ას ვაჟკაც ბას, განამტკიცებს სახელმწიფოებსა და ბეფეების გვარეულობას, გამარჯვებას არგუნებს უფრო ღირსს, საზოგადოებაში ყველაფერს აამოძრავებს, გააცოცხლებს".

ბაირონის სიტყვები: „მე დიდის სიამოვნებით უარსვყოფდი ომს, თუ არ ვიცოდე, რომ მარტო ის იხსნის ქვეყანას სიდამპლისა და დახავსებისაგან".

პრუდონი სწერს: «სამწუხარო ის-კი არ არის, რომ სისხლი იღვრება, საქმე ის არის, რისთვის იღვრება. ჩვენ დროში ომი გაყვლეფისათვის იბადება».

*
* *

ომის მოწინაღმდევენი იმას არათუ პროგრესის იარაღად არა სთვლიან, პირიქით, ამბობენ პროგრესის მსვლელობას აბრკოლებსო. აი, რას სწერს სპენსერი: „უმაღლესი საზოგადოებრივი გრძნობები მხოლოდ მაშინ მიაღწევენ განვითარების მწვერვალს, როცა არსებობისათვის ბრძოლა ომით არ გამოიხატება... შეერთება ადამიანებისა დიდრონ ჯგუფებად და ზრდა ცივილიზაციისა შესაძლოა იმდენად, რამდენადაც ჰკარგავს თავისს ძალას პრინციპი, რომელიც მოითხოვს ერთის კაცის მოკვლისათვის მეორის და ბევრის გაჟლეტას. ცივილიზაციის დაბალ საფეხურებიდან მაღალ საფეხურებამდის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როცა ადამიანები მოსპობენ ხალხთა შორის შურის ძიებას, რომელიც ჩვენ მივიღეთ ველურებისაგან მემკვიდრეობად». აქედან სჩანს, თუ რამდენად აბრკოლებს ომი კულტურას, როგორ სთესავს იგი განხეთქილებას სხვა-და-სხვა ერთა შორის და გვაშორებს იმ დროს, როცა მთელი კაცობრიობა ერთს საზოგადოებად იქნება გაერთებული.

რუსის მწერალი ტოლსტოი ამბობს: „საგანი ომისა—მკვლელობაა, ომის იარაღი—ჯაშუშობა, ღალატი და მისი წაქეზებაა, მცხოვრებთა დარბევა, მათი გაძარცვა, ან ქურდობა ჯარის გამოსაკვებავად, სიცრუვე, დატყუილება, რომელთაც ეძახიან სამხედრო ოინებს... ომი ადამიანის გონების და ბუნების წინააღმდეგია... შედით იმ ოთახში, სადაც ომში დაკოდილთ ჭრილობებს უხვევენ ან ოპერაციებს უკეთებენ, და თვალ-წინ წარმოგიდგებათ საშინელი, სულის შემზარავი სურათი: ნახავთ ომს იმის ნამდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილს გამოხატულებაში სისხლში, ტანჯვა-წვალებაში, სიკვდილში",

ჰიუგოს სიტყვები: „სალდათი, გადაქცეული მკვლელად, იდენს დანაშაულობას ერთი მეორეზედ: დილით ჰკლავს, საღამოთი სძარცვავს". ომი რომ შესწყდებოდეს, „გადავაკეთებდით მთელ დედამიწას, გავიყვანდით არხებს, მთებს ავაფეთქებდით, მთელს ქვეყანას რკინის გზის ქსელით მოვფენდით, სავაჭრო ფლოტს ასჯერ გავადიდებდით, ჭაობებს ამოვაშრობდით, ქალაქებს ავაშენებდით იქ, სადაც ეხლა უდაბნოა, იქ ნავთ-სადგურები გვექნებოდა, სადაც ეხლა მხოლოდ წყლის ტალღებია. სიმდიდრე წყალივით ჩქეფას დაიწყებდა დედამიწის გულიდან: სიღატაკე გაჰქრებოდა; იც რა გაჰქრებოდა სიღატაკესთან ერთად? რევოლიუცია... დიად მკვლელობების დრომ განვლო: ზარბაზნის ლუკმამ (ე.ი. სალდათმა) ფიქრი დაიწყო და იმას ეხლა აღარ მოსწონს მსხვერპლის როლი».

ომი, ვოლტერის აზრით, აქცევს სალდათს მკვლელად, ავაზაკად, ჯაშუშად, იგი არა თუ არავის არგია, პირიქით სხვისი სარჩენელია, მეტი ბარგია: არათუ არაფერსა გვმატებს, პირიქით, რაც დიდი შრომით მოპოვებულია, იმასაც ოხრებს და უსარგებლოდ აქარწყლებს. გული გიწუხს, როცა გაიფიქრებ, რომ ყველა ის, რასაც ჩვენ, მეცნიერები, 50 წლის განმავლობაში ვუნერგავდით ხალხს გულში, შეიძლება გააქარწყლოს ერთმა ომმა». ინგლისელი ორატორი ბრაიტი ამბობს: „მე სულით და გულით მეზიზღება ის, ვისაც ომი საჭიროდ მიაჩნია, ვინც ფიქრობს, რომ იმის აცილება არ შეიძლება იმიტომ, რომ ჟურნალ-გაზეთები და საზოგადოების ერთ-ერთი ნაწილი მხარს უჭერს მთავრობას ამ საქმეში".

მაგრამ ყველაზე მეტი ზიზღი ომისადმი გამოთქვა ფრანგმა მწერალმა მოპასანმა თავის წიგნში აი, რასა სწერს იგი: „როცა მაგონდება სიტყვა „ომი", რაღაც ზიზღი მიპყრობს, თითქოს ჯადოქრობასა და ინკვიზიციაზედ მელაპარაკებიანო, თითქოს მიამბობენ რაღაც შორეულს, წარსულს, საზიდარს და ბუნების წინააღმდეგსაო. როცა კაცის მჭამელებზე არის ბაასი, თავმოწონებით ვიღიმებით, რადგან ჩვენ თავს მაღლა ვაყენებთ ამ ველურებზე. აბა, მიბრძანეთ ერთი, ვინ არის უფრო ველური, ნამდვილი ველური: ისინი, ვინც ომობენ იმისათვის, რომ დამარცხებული მტერი შესჭამონ, თუ ისინი, ვინც ომობენ მარტო იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მოჰკლან, თუნდაც ამან არაფერი სარგებლობა არ მოუტანოს? სალდათები, რომელნიც საომრად მიდიან, განწირულნი არიან სასიკვდილოდ, როგორც ცხვრების ფარა, რომელსაც ყასაბი მიერეკება. ისინი ესალმებიან წუთისოფელს ბრძოლის ველზე ხმლის ერთი დარტყმით ან გულში ტყვიით დაკოდილნი.

«ომს ეხლა უფრო თაყვანს სცემენ, ვიდრე ოდესმე. ამ საქმეში დაახლოვებულმა ნიჭიერმა მკვლელმა მოლტკემ წარმოსთქვა მშვიდობიანობის დელეგატების წინაშე შემდეგი სიტყვები:

„ვებრძვით ბუნებას, უმეცრებას, ყოველგვარ დაბრკოლებას, რომ კაცობრიობას ცოტა ტანჯვა მაინც ჩამოვაშოროთ. ჩვეულებრივი ადამიანები, ქველ-მოქმედნი, მეცნიერნი მთელს თავიანთ სიცოცხლეს იმას იძიებენ, თუ რით შეიძლება მოყვასის დახმარებაო. ყველა ესენი ერთგულად ასრულებენ თავიანთ წმიდა მოვალეობას. გვამდიდრებენ ახალ აღმოჩენებით, აფართოებენ კაცის გონებას, ამდიდრებენ მეცნიერებას, ყოველ დღე ჰმატებენ სამშობლოს კეთილდღეობას, კმაყოფილებას, ძალ ღონეს. მერე დაიწყება ომი და გენერლები ექვსის თვის განმავლობაში აქარწყლებენ ოცის წლის შრომის აღმოჩენების ნაყოფს. აი ამასა ჰქვიან „ხელს უშლის საზიზღარ მატერიალიზმის გამეფებასაო".

ჩვენ გვინახავს ომი. გვინახავს ისინიც, ვინც, ომში გაპირუტყვებულან, გონება დაუკარგავთ, ვინც ომში პოულობენ ან მოელიან ქება-დიდებას. მოვსწრებივართ ისეთ დროს, როცა უფლება სწყვეტს არსებობას, როცა კანონი უქმდება, როცა ყოველივე სამართლიანობა ჰქრება, როგორ კვდებიან, იჟლიტებიან უდანაშაულო ადამიანები... რომელნიც იმიტომ შეიქნენ სიკვდილის ღირსნი, რომ შეეშინდათ...

დარბევა რომელიმე ქვეყნისა, გაჟლეტა ხალხისა, რომელიც იცავს თავისს საცხოვრებელს, დახოცვა ადამიანისა მხოლოდ იმიტომ, რომ ისე არ არიან ჩაცმულნი, როგორც ჩვენ, გადაბუგვა ათას ღარიბღატაკის სარჩო-საცხოვრებელისა, იმ ღარიბებისა, რომელთაც ლუკმა-პურიც-კი ენატრებათ, დალეწა ავეჯისა, მოტაცება და შესმა მარანში ნაპოვნ ღვინისა, გაუპატიურება ქუჩაში გავლილ ქალებისა, დაწვა აუარებელ თოფის წამლისა, შიმშილისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლერის გავრცელება,—აი რასა ჰქვია, «ხელს უშლის საზიზღ რ მატერიალიზმის გამეფებასაო».

„რა გააკეთეს სამხედრო წოდების წარმომადგენლებმა ისეთი, რაც ამტკიცებს იმათ ინტელიგენტობას, გონებრივს განვითარებას?—არაფერი. რა მოიტანეს იმათ?—თოფი და ზარბაზანი.—განა ურმის გამომგონმა მეტი სასგებლობა არ მოუტანა კაცობრიობას თავის უბრალო პრაქტიკულ გამოგონებით, ვიდრე თანამედროვე ციხე-სიმაგრების გამომგონმა?

„რა დაგვრჩა საბერძნეთისაგან?—წიგნები და მარმარილო. რით იყო დიადი საბერძნეთი: იმით, რითაც მტერი დაამარცხა, თუ იმით, რაც გონებით, ნიჭით შეჰქმნა?“

*
* *

ჟურ. „მოგზაურ“-ში ვკითხულობთ შემდეგს:

„სიტყვით გამოუხატველი ზნეობითი გაფუჭება და გახრწნა, პილწი საქციელი ქუთაისის სემინარიელებისა და თავ დაუხრელი ველურობა და გამხეცება გელათის ტაძრის გამძარცველებისა ნათლად გვაჩვენებს, თუ რა ზნეობით დაცემის უფსკრულში ჩავარდნილა ჩვენი ხალხი. წმინდა ტაძრის შემპილწველი და შემმუსვრელი სემინარიელი ცხადათ ამტკიცებს სამღვდელოების ოჯახობის ზნეობითი სიმდაბლეს! ერთად-ერთი სიწმინდის შელახვა, როგორიც არის გელათი მთელს იმერეთში, გვაჩვენებს ამ ავაზაკების საძაგლობას და გარყვნილობას. ერთი ṯ ორი ქეციანი ცხვარი მთელს ფარას გააქეციანებსო, იტყვიან ხოლმე რუსები, და ალბათ იმერლობას დიდი ხანია ქეცი სჭირებია, რომ ერთბაშათ მთელ არემარეს ძნელად მოსარჩენ ჭირად გადაჰქცევია. წამხდარ და დაცემულ სასულიერო წოდებას სამწყსოც შეეპილწება.“

«რა სასჯელი მოელის შემპილწველთა და ველურთა? არაფერი: კაცის კვლა და ქათმისა ერთნაირად ფასობს. მერე კიდე საცა საეკლესიო სიწმინდეებს ბაზარში ასაღებენ საჯაროთ. უპატიოთ ეპყრობიან საეკლესიო სამკაულებს, მაშინ ყმაწვილი შეუგნებელი სემინარიელი უფრო მეტს ჩაიდენდა და გელათის მცარცველიც მხეცს დაემსგავსებოდა.

„იმერლებმა სიტყვით გამოუთქმელი სისაძაგლე მოახდინეს, მაგრამ ამაში ჩვენც ყველა ქართველებს წილი გვიძევს. თუ სუყველანი არა,—ორი მესამედიც რომ რიგიანები ვიყვნეთ, ჩვენში ეს გახრწნილება არ ჩამოვარდებოდა და გელათის ავაზაკნი წმიდათაწმიდას ხელს ვერ შეახებდნენ.“

«არა ნაკლები სისაძაგლე ჩაიდინა ერთმა კახურმა თავადმაც. თავადი შეზარხოშებული ბრძანდებოდა, ცხენით მომავალმა დაინახა სოფლის ეკლესის კარები ღია, სოფლის მღვდელი საღამოს ლოცვაზე იდგა. თავადი ლოცვის მოსასმენათ ცხენდაცხენ ეკლესიაში შებძანდა, მაგრამ მღვდლისა ṯ დიაკვნისა მაინც კიდე შერცხვა და მალე უკანვე გამოვიდა, თავადს უკან მეძებრები მოსდევნებია და ვერ შეუბედნია შეჰყოლოდა, სცოდნია რომ «საყდრის კარი რომ ღია იყოს—ძაღლი უნდა მოერიდოსო»—და თავადმა კი თურმე თავის მეძებრის სინდისს გადააჭარბა! მერე რა გა ახდევინეს ამ „კნიაზს“? არაფერი, კანონიც ვერ იპოვეს „კნიაზის“ მოსაკერებელი, არსადა სწერიაო, რომ ცხენით ეკლესიაში შესვლა. არ შეიძლებაო, სომხის სუფსარქისი სახლებში და საყდრებში ცხენით დადიოდაო და ის „პოსუდში“ არავის მიუციაო!“

ნეტავი რა შუაშია იმერლობა და იმერეთის სამღვდელოება სემენარიელებისაგან ჩადენილ საქციელში და გელათის გაქურდვაში?.. სამღვდელოებამ შვილები ჩააბარა სხვას აღსაზრდელად. აღზარდეს. მაგრამ ღმერთმა დაგიფაროს მისთანა აღზრდილებისაგან! ემბერის ქალებმა მთელი ქვეყნიერობა გააკვირვეს თავის საქციელით. რატომ არ ლანძღვენ ფრანგებს?.. რიგია თავდაჭერილობა წერის დროს როცა მთელს ხალხს ჩირქს სცხებთ ერთი ორი კაცის მოქმედებით და ისიც დაუმსხურებელად...

სოფლის ხუცესი.

## ქართულ საეკკლესიო სამხმიან და ოთხხმიან საგალობლებისათვის.

25 წლის წინად იმერეთის განსვენებულ ეპისკოპოზ გაბრიელის მგალობელთა ხოროს მართვა—ლოტბარობა ვიტვირთვე. ამ დროდგან მოვკიდე ხელი, სხვათა შორის, ქართულ საეკკლესიო გალობასაც, იმ აზრით, რომ რუსულ გალობასთან თანასწორად ქართულადაც მეგალობებინა ხორო.

თუმცა ჩემს ყმაწვილობაში წირვის და ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვის საგალობლები ვიცოდი, მაგრამ ეს არ კმაროდა ჩემის სურვილის შესასრულებლად, ამისთვის მოვიწვიე ქიზიყში (ქვემო კახეთში) საუკეთესო საეკკლესიო გალობის მცოდნენი და მათის დახმარებით გადვიღე ნოტებზედ საეკლესიო სამხმიანი საგალობლები. ამ საქმეში ბევრად დამეხმარა დეკანოზი ბლაღოჩინი (ბლაღოჩინად იყო მაშინ) სიმონ ბენაშვილი. აზრად მქონდა შემდეგი: ჯერ დამეწერნა ნოტებზედ სამხმიანი ქართული ქართულ-კახური საეკკლესიო საგალობლები და მერე ამ სამხმიანზედ ამეშენებინა ოთხმიანი. წადილი ჩემი, შეძლებისა დაგვარად, ავასრულე: დავსწერე სამხმიანი საგალობლები და მერე ამ სამხმიანზედ დავამყარე ოთხმიანი, ისე კი, რომ ეროვნული კილო, თვისება და ტემპი არ შევცვალე; ჩემს თავს ზნეობრივ მოვალედ ვრაცხდი, რომ საგალობლებისთვის სრული ეროვნული თვისება შემენარჩუნებინა.

რაკი მგალობელთა ხორო რუსულ გალობაში გავწვრთნე (ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობა იყო), ხელი მოვკიდე ქართულ გალობასაც და ოთხმიანს საგალობლებს ვაგალობებდი იმ დრომდე, ვიდრე ეპისკოპოზობდა გაბრ. ეპისკოპოსი. გაბრიელის მოადგილეს ეპისკ. ბესარიონის დროს ლოტბარობას თავი დავანებე. ვაგალობებდი ამ წესით ერთ შაბათ-კვირას რუსულად და მეორე შაბათ-კვირას—ქართულად.

რაც შეეხება ჩემ-მიერ ნოტებზედ დაწერილს საეკკლესიო საგალობლების ღირსებას, ამაზედ მცოდნეთ რამდენჯერმე გამოუთქვამთ ჩვენს ქართულ პრესაში თავისი აზრი, სხვათა შორის, მუსიკა-გალობის მცოდნეებმაც, როგორც მაგ. პ-ნმა კარგარეთელმა და ს. წერეთელმა; აგრედვე რუსულ გაზეთში ვლადიკავკავის დეკანოზმა და სხვებმა. არც ერთისაგან არ მსმენია, რომ ეთქვათ: აქ ქართული კილო არ არისო. ან კი ჩემი აზრი რა იყო, თუ არ ქართულ კილოს დაცვა. (მხოლოდ ერთხელ „მწყემსში“ ვიღაცამ მიკიჟინა: «სულ კახურად რათ ჰგალობ, აქ ხომ იმერეთიაო»). გარდა ამისა, აი, 7—8 წელიწადია, ქართულ გალობას ვაწარმოვებ იმერეთის ეპარქ. გაბრიელის საქალ. სასწავლებელში და აქაც (კვეხნისაგან ღმერთმა დამიფაროს!) მსმენელთაგან კმაყოფილებას ვხედავდი და ვხედავ.

დავსწერე ნოტებზე ყველა საგალობლები წირვისა, ლოცვისა, ცისკრისა, პარაკლისისა და პანაშვიდისა. აგრედვე დიდი უქმე-დღეების განიცადენი („ღირს არს“-ის მაგიერი) და რამდენიმე ტროპარი. დიდი ხანია, რაც ზემოხსენებული საგალობლები,—როგორც სამ-ხმიანი, ისე ოთხ-ხმიანი,—მზად მქონდა და დღესაც მაქვს თეთრად—სუფთად დაწერილი, მაგრამ დაბეჭდვას ვერ ვღირსე; ვერ ვღირსე უფრო იმიტომ, რომ ერთმა ცდამ მაზარალა და ბეჭდვის საქმე ველარ განვაგრძე. აი საქმე როგორ იყო: წარსულ წლებში ჩემის ხარჯით დავბეჭდე 400 (ოთხასი) ცალი წირვის საგალობელი და ეროვნული სიმღერები. ოთხას ცალის დაბეჭდვაში მივეცი ბ-ნ ტ—ლს ოთხასი მან.; აზრად მქონდა, ამას გავყიდი და შეგროვილ ფულით მერე სხვას გამოვცემ-მეთქი. ჩემი სურვილი არ ამისრულდა: ვისაც გაუგზავნე და ვინც წაიღო დაბეჭდილი ნოტის რვეულები, ჩვენთვის ალაწაფერი ჩაუბარებიათ. 60 ცალი გორში წაიღეს, 10 სენაკში, 6 სიღნაღში, 25 ცალი კიდევ გორში ერთმა მასწავლებელთაგანმა, რომელმაც მხოლოდ ათი მანეთი კი გამომიგზავნა და სხვამ ჩაილურის წყალი დალია (თვითეული ცალი ღირდა 1 მ. 60 კაპ.), 20 ცალი ყვირილაში და ამდენ გამოცემულ ნოტებში მხოლოდ ათი მან. მივიღე. ორჯელ-სამჯერ წერილიც გავგზავნე, მაგრამ რადგან არაფერი გამოდნა, მეც თავი დავანებე. მხოლოდ პირნათლად დარჩნენ ტფილისში წამღებნი, სხვათა შორის, ალ. მირიანაშვილი, რომელმაც წაიღო სამოცი ცალი და ხვედრი ფული დრო გამოშვებით გამომიგზავნა. ასე უგემურად ჩაიარა ჩემმა გამოცემამ და ამით ჩემი გეგმაც ჩაიფუშა. კიდევ გავბედავდი ჩემი ხარჯით გამოცემას, როგორც სამხმიანისას, ისე ოთხმიანისას, რომ ეკკლესიებსა და სასწავლებლებში შეიტანდნენ და ზარალს არ ვნახავდე, მაგრამ... კარები დახურულია, რადგან ქართულს არა სწყალობენ... ტყუილად არ ჩივის გაზ. „ივერიაში“ ბ-ნი სანო: „ახლად მოვლენილნი ფარისეველნი, რომელთაც საკუთარ სამშობლოში კიტრის ფასიც არ ჰქონდათ, ქართულ ეკკლესიის დალონებით თავიანთ ჭიას ახარებენ და ამავე დროს თავისიანებში იძენენ მამულიშვილობის სახელს“. ოლონდაც! რაქნას კაცმა? დიდი ხანია, რაც ქართულ ეკკლესიაში ქართული გალობა დაეცა და აღდგენის ჭირისუფალი არ ჰყავს. ქართული საეკლესიო საგალობლები დიდად საჭიროა და თუ დაიბეჭდა, იმედია სარგებლობას მოუტანს ჩვენ ეროვნულ საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნილებაც საკმაოდ არის. ხშირად მთხოვენ ორივე ნაირ საგალობელს და მეც შეძლების დაგვარად ხელს ვუმართავ, მაგრამ ყველას დაკმაყოფილება ხელთ-ნაწერებით შეუძლებელია, რადგან საგალობლების გადაწერა შრომასა და დროს ითხოვს. ორის წლის წინად ჰექტოგრაფით დავბეჭდე ორმოციოდე ცალი. მოკლე ხანში ყველა წაიღეს იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში; რამდენი ცალი გაუგზავნე საჩუქრად სხვა და სხვას. ოთხ-ხმიან საგალობლების მოთხოვნილება არის უფრო ქალაქებში, მაგ. ტფილისში, ვლადიკავკავში, თელავში, ფოთში. კარგა ხანია, რაც ჩემ მიერ ნოტებით გადაღებული ქართული საეკკლესიო საგალობლები მოიფინა სხვადასხვა ქვეყნებში. არ დამრჩა სასიამოვნოდ, როდესაც გავიგე, რომ სასულიერო უწყებამ, ეპისკოპოსის ვენიამინის თავმჯდომარეობით, განიზრახა ქართული საეკკლესიო საგალობლების დაბეჭდვა და იმის მაგიერ, რომ ჩემთვისაც რამე ეკითხნათ, მან მიმართა იმისთანა კაცს, რომელსაც ამ ასპარეზზედ ნაკლები ღვაწლი მიუძღვის. თუმცა წლეულ პირად მე მივმართე საოლქო საბჭოს (Окружной Совѣтъ) და დაწვრილებით აუხსენი სამხმიან საგალობლების უპირატესობა წინაშე ერთხმიან საგალობლებისა, და უსასყიდლოთაც უთმობდი ჩემს შრომას, მაგრამ საბჭომ არ ინება სამხმიანის გამოცემა. მან აირჩია ერთხმიანი—მივიღე ამნაირი პასუხი:

„Окружной училищный Совѣтъ имѣетъ честь увѣдомить Васъ, что онъ, не находитъ возможнымъ въ настоящее время издавать составленныя Вами церковныя пѣснопѣнія Карталино - Кахетинскаго напѣва, положенныя на три голоса“.

‹Предсѣдатель Совѣта Епис. Веніяминъ›.

მე დაბეჯითებით შემიძლიან ვსთქვა, რომ დღეს საჭიროა სამხმიანიც და ოთხ ხმიანიც. ერთხმიანი ხალხის სმენას და გემოვნებას ვეღარ დააკმაყოფილებს. გარდა ამისა სამხმიანს საგალობელს ის უპირატესობა აქვს, რომ იმაში ერთხმიანიც არის (ე. ი. დაწყება—პირველი ხმა შეადგენს ერთხმიანს). რაკი ერთხმიანი საგალობელი დამზადდება, მეორე —მოძახილი და მესამე—ბანიც ხომ საჭირო იქნება და ეს საჭიროება დაკმაყოფილებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამივე ხმა ერთად იქნება მოთავსებული. სამხმიან საგალობელში ყველა ხმები იქნება და, მაშასადამე, მსურველს პირველ ხმითაც შეუძლიან ისარგებლოს, მეორითაც და მესამითაც. ამბობენ: მეტი ხარჯი გვინდება დაბეჭდვაში და იმას ვერიდებითო. რუსული ანდაზა: „Дорого, да мыло, дешево, да гнило“-ო. სამხმიანი რომ ცოტათი ძვირადაც დაჯდეს, ისა სჯობია, ვიდრე ერთხმიანისა, მაგრამ კაცია და ბუნებაო...

დღეს შემუშავებული და დამზადებული მაქვს როგორც სამხმიანი, ისე ოთხ-ხმიანი; მათი დაბეჭვდა დაჯდება, ვგონებ, ასი თუმანი (1,000 მან.). მე, კერძოდ, არ შემიძლიან, რადგან, ზემო აღნიშნულ გარემოებათა გამო, ვიცი, ზარალს ვნახავ და ერთის კაცისათვის ზარალი უფრო საგრძნობელია, ვიდრე საზოგადოებისთვის. ეს საქმე, ჩემის აზრით. საზოგადოებამ უნდა იტვირთოს. ქართველ საზოგადოებას შეუძლიან გამოიღოს წვლილი ამ პირობით: თვითეულ საზოგადოების წევრს შეუძლიან გამოიღოს სამი მანეთი. ეს ფული რედაქციებში უნდა გაიგზავნოს და კვიტ ნციები კი ფულის გამომგზავნთ შეინახონ. როდესაც საკმაო თანხა შესდგება, მაშინ ბეჭვდაც მოხერხდება და რედაქციებში შენახულ ადრესებით ხელის მომწერთ გაეგზავნებათ როგორც სამ ხმიანის, ისე ოთხ-ხმიანის საგალობლების რვეულები. თუ კიდევ გამოჩნდება შეძლებული კაცი და თავის ხარჯით გამოსცეს ნაშრომი, მზად ვარ უსასყიდლოდ დაუთმო პირველი გამოცემა, მხოლოდ კორექტურულ შეცდომების გასწორება ჩემი საქმე იქნება.

ოთხ-ხმიანი საგალობლები, როგორც ზემოთაც ვსთქვი, დამყარებულია სამხმიანზედ; სამხმიანს დაწყება და მოძახილი, რაც შეადგენს საფუძველს და საძირკველს ქართულ საეკ. გალობაში, ოთხ-ხმიანში დაცულია, ბანი და მეოთხე ხმა ყველაფერში შეწყობილი და დამორჩილებულია პირველ (დაწყება) და მეორე (მოძახილი) ხმებთან, ასე რომ, ვინიცობაა ვინმე სამხმიან გალობის ხორო გამართოს, ადვილად შეეძლება ოთხმიანიც მოაწყოს, თუ კი ხორო (მგალობელთა გუნდი) მოზრდილი იქნება და ხმებიც საკმაოდ ეყოლება.

აქ საჭიროდ ვსთვლი მოვიხსენიო შემდეგი: ჩემმიერ დაწერილ საგალობლებში მოთავსებულია გურულ-მეგრული კილოს საგალობლებიც. მაგალ., „კვერექსები, სულისაცა შენისათანა, დიდება შენდა, უფალო; მამასა და ძესა, მრწამსი, მამაო ჩვენო, აცხონე უფალო, რამდენიმე ტროპარი და მეუფეო ზეცათაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ სასიამოვნოდ დამრჩება, თუ რედაქციები და კერძო კაცები ჩემ მიერ აღძრულ ამ საგნის შესახებ თავის აზრს წარმოსთქვამენ და იტყვიან,— სჯობია, რომ კეთილად დავაგვირგვინოთ ეს საქმე.*)

ანდრია სიმონის-ძე ბენაშვილი.

(„ივერია.“).

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**გენ ნოგი.** „ლოკალ ანცაიგერ“-ი გენ. ნოგის მოკლე ბიოგრაფიასა ჰბეჭდავს: გენ. ნოგი 1849 წელს ნოემბერში დაიბადა. 1877 წ. სოცუმას აჯანყების დროს ბატალიონის უფროსად იყო, ორჯერ იყო დაჭრილი და ძლიერ ისახელა თავი. ჩინეთ-იაპონიის ომში დიდ მონაწილეობას იღებდა; იმ დროს გენერალ-მაიორის ჩინი ჰქონდა. 21 ნოემბერს 1894 წელს პორტ არტურის აღებაში მიიღო მონაწილეობა, მერე ინკოუ აიღო, შემდეგ კუნძულ ფორმოზაზე მოქმედებდა და ფორმოზას გუბერნატორად დაინიშნა; მერე მე-11 დივიზიის უფროსად დაინიშნა. ნოგი თავით ფეხამდე ნამდვილი სალდათია. მანევრების დროს ისე ცხოვრობს, როგორც უბრალო სალდათი; ამიტომ ზოგ აფიცერს გენ. ნოგი მეტად სასტიკ კაცად მიაჩნია, სამაგიეროდ დანარჩენ აფიცრებს და უბრალო სალდათებს ძლიერ უყვართ. „მანევრების დროს ისე უნდა იცხოვრო, როგორც ომის დროსაო“, ამბობდა ხოლმე გენ. ნოგი. თუ რამდენად სასტიკად ასრულებს სამხედრო წესებს, ეს შემდევის მაგალითიდან სჩანს. გენ. ნოგი მასუ-იამაში ცხოვრობდა და დივიზიის უფროსად იყო. ტოკიოდან ცოლი მოუვიდა. ნოგიმ არ მიიღო თავისი ცოლი იმ საბუთით, რომ ნებართვითს აუღებლად მოჰსულხარო. ცოლი უკან დაბრუნდა, თავისი ქმარი ვერც-კი ნახა. გენ. ნოგის სუვოროვივით შტიკით ბრძოლა უყვარს. იმისი ორი ვაჟი-შვილი შტიკით ბრძოლის დროს დაიხოცნენ, ერთი ნანშანთან (ცინჩოუსთან), მეორე პორტ-არტურთან. გენ. ნოგის შტაბის უფროსი გენ. იჩიჩი არტილერისტია. ეს სულ სხვა ხასიათის კაცია. ტოკიოში სამხედრო აკადემიის დასრულების შემდეგ, გერმანიაში წავიდა და იქ საქსონიის ერთ-ერთ საარტილერიო პოლკში ჩაირიცხა. შემდეგ წამხედრო აგენტად იყო ბერლინსა და ლონდონში, მერე გენერალ-მაიორობა მიიღო და საველე არტილერიის ინსპექტორად დაინიშნა. ომის დაწყების წინა ხანებში იჩიჩი კორეიაში გადაიყვანეს სამხედრო აგენტად და იაპონიის ჯარის გადაყვანას შეუწყო ხელი. (ნ. დ.)

**წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა.** „ეკო დე პარი“ იუწყება, პეტერბურგში საბოლოოდ გადასწყვიტეს ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის დაბრუნება, რადგან ორ ჯავშნიან გემის მაშინები სრულიად არ გამოდგაო. («ნ.»).

**რუსეთის ახალი ფლოტი.** «მატენ»-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მოსკოვიდან: „პეტერბურგიდან მოსკოვში მოვდიოდი და მატარებელში რუსეთის საადმირალოს ერთ უმთავრეს წევრს ვესაუბრე. წევრმა მითხრა, რუსეთის ფლოტი ამ ჟამად სულაც არაა ბრწყინვალე მდგომარეობაშიო. რუსეთის ფლოტის განახლების პროექტი შეადგინეს, მაგრამ ფინანსთა მინისტრმა შეატყობინა მთავარ შტაბს, ბიუჯეტში აღნიშნულ კრედიტის გარდა ფლოტისათვის სხვა ფულს ვერ მოგცემთო. (ნ.)

**რუსეთის ფლოტი პორტ-არტურში დაღუპული.** ბ. ბელომირი გაზ. „სლოვო“-ში სწერს: 27 იანვრიდან პორტ-არტურის აღების დღემდე დაიღუპა, ჩაიძირა და ააფეთქეს შემდეგი გემები: «პოლტავა» ღირებული 8,074,409 მან., „სევასტოპოლი“—8,074,409 მან., „პერესვეტი“—10,441,655 მან., „პობედა“—10,100,000 მან., „რეტვიზანი“—10,695,518 მან., „პეტროპავლოვსკი“—8,074,409 მან., «ბაიანი»—6,900,689 მან., „პალადა“—5,725,313 მან., „ნოვიკი“—3,049,312 მან., „ბოიარინი“—3,394,024 მან., „ვსადნიკი“—406,000 „გაიდამაკი“—406,000 «ჯიგიტი»—1,335,703 მ., „რაზბოინიკი“—1,335,703 მან., „ზაბაიაკა“—436 ათასი მან., „ბობრი“—650,277 მან., „გილიაკი“—840,423 მან., „ენისეი“—2,000,000 მან., «ოტვაჟნი»—863,851 მან., „გრემიაშჩი“—1,250,000 მან., „ანგარა“—2,566,841 მან., «კაზანი»—1,150,000 მან., სულ 87,760,940 მანეთისა. ამას გარდა ყოველ გემის შეიარაღება საშუალოდ ჰღირს 5,762,936 მან. პორტ-არტურში დაიღუპნენ აგრეთვე ნაღმიანი გემები: „ლეიტენანტი ბურაკოვი“, „სტრაშნი“, «რასტოროპნი», «რეშიტელნი» და «სტერეგუშჩი». აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის რამდენიმე გემიც პორტ-არტურის შესავლის ჩასაკეტად ჩაძირეს; დაიღუპა აგრეთვე ბარჟები, მიწის ამომღები მაშინები, კრანები, საბუქსირო გემები, წყლის საზიდი გემები

*) ჩვენის აზრით საუმჯობესო იყო, რომ ამ წერილის ავტორს მცოდნე პირების შემოწმება და აზრი დაებეჭდა გაზეთში და მათი სიტყვებით დაემტკიცებია თავისი სიტყვები.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სხვა. კრეისერ «ნოვიკ»-ის ზარბაზნები კი გადა- ჩინეს, კუნძულ სახალინზე გადაიტანეს და ახლად შენებულ ფორტში დააწყეს.

„დეილ მეილი“-ის კორესპონდენტი ( ეპეშით იუწყება გენ. ნოგის არმიის მთავარ-სადგ ომიდან: იაპონიის მოდარაჯე გემებმა დაინახეს, რომ 19 დეკემბერს რუსის ნაღმიანი გემები პორტ-არტურიდან გავიდნენ, მაგრამ რუსის ჯარის მამაცობას პატივი სცეს და გემებს ხმა აღარ გასცესო («ნ. დ.»).

*
* *

„კავკაზ“-ში ვკითხულობთ: „როგორც იციან მკითხველებმა ბაქოში მუშების გაფიცვა უკვე დასრულდა, მაგრამ ეხლა თფილისში დაიწყო. თფილისის მუშებს მიემატათ ბოზარჯიანის თამბაქოს, ტოლეს საპნის ქარხნის, ტაიროვის და ადელხანოვის ქარხნების მუშებიც და ერთად თავი დაანებეს მუშაობას. ამ მუშებს უწესოება არა ჩაუდენიათ-რა და არც პოლიციასთან შეტაკება ჰქონებიათ. მოძრაობა კონკაზე წინანდებურად არის სამხედრო დარაჯების ზედამხედველობით. ოცს იანვარს ბრბო დაეცა ავჭალის ცხენის რკინის გზას, გადმოენა მოგზაურნი და კონკის დამსხვრევა უნდოდათ, აგრამ ექვსმა სალდათმა მიუსწრეს და დაუშალეს. სალდათებს შემოესიენ მუშები, მაგრამ თოფის თათით გარეკეს მუშები, მხოლოდ ერთი სალდათი ცირედ დაშავდა. ამ სალდათებს მოეშველენ დრაგუნის ერთი რაზმი რომელთაც სრულებით გაფანტეს მუშები. აქ ექვსი მოთავე შეიპყრეს.

იმ მუშების დასაფარავად, რომელთაც სურსთ დაბრუნება მუშაობაზე მიღებულია ზომები, ამისათვის ერთი ნაწილი მუშებისა დაბრუნდა სამუშაოთ რკინის გზაზედ.

მუშები გაიფიცენ ბათუმში და სამტრედიაშიაც. 21 ამ იანვარს სამტრედიაში ბრბო ჯერეთ მიესია რკინის გზის სადგურს და ყველა მოსამსახურენი გამორეკა და აიყოლია თან. მუშებმა ძალით დააკეტვინა მაღაზიები ვაჭრებს, ამათ მიემატა სამტრედიის მცხოვრებნიც. მუშების არეულობის დროს დაიჭრა მძიმედ მამასახლისი, რომელიც ქუთაისში წაიყვანეს. სამტრედიის ზემოთ რკინის გზის რელსი იყო აღებული და ჯარით მიმავალი მატარებლის მანქანა ჩავარდა, მაგრამ უბედურობა არ მომხდარა. ღამით მოძრაობა რკინის გზაზე შეჩერებულია. დღეში მარტო ორი მატარებელი მოძრაობს და ისიც არავინ არ იცის ხოლმე როდის მოვა სადგურზე. ხალხი ნამეტნავად შეწუხებულია რკინის გზაზე მოძრაობის მოსპობით. ამ დღეებში მოკლეს საჯავახოს ახლო გზაში დილით ადრე პოლიციის ბოქაული კოსტავა.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

(გაზეთებიდან).

*
* * ოფიციალური ცნობა. 1904 წლის დასაწყისში, პეტერბურგის ქარხნებისა და ფაბრიკების ზოგიერთ მუშათა შუამდგომლობით, დამტკიცებულ იქნა წესდება პეტერბურგის ქარხნებისა და ზავოდების მუშათა საზოგადოებისა. აზრად ამ საზოგადოებას ჰქონდა თავის წევრთა სულიერ და გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მუშების დაცვა მავნე პროპაგანდისაგან. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა საპყრობილეს მღვდელი გიორგი გაპონი. ახლად დაარსებული საზოგადოება გადიდებისა და გაფართოებისათანავე შეუდგა ქარხნებსა და ზავოდებში მუშებსა და პატრონთა შორის არსებულ დამოკიდებულების განხილვასაო. განვლილ წლის დეკემბერს საზოგადოებამ ძალა დაატანა პუტილოვის ქარხნის მუშებს, ჩარეულიყვნენ ქარხნიდან დათხოვნილ ოთხი მუშების საქმეში. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს მუშები არც-კი დაუთხოვნიათ, არამედ თითონ წასულან. ამის-და-მიუხედავად, მღვდელ გაპონისა და დასახელებულ საზოგადოების წევრთა მიერ აღელვებულმა პუტილოვის ქარხნის მუშებმა 2 იანვარს მუშაობა შესწყვიტეს და იმავე აგიტაციის გავლენით მოითხოვეს როგორც ამხანაგების დაბრუნება, ისე შეცვლა მუშათა მიღების, გასტუმრების და დათხოვნის წესრიგისა. უნაყოფოდ ჩაიარა საქარხნო ინსპექციის დარიგებამ და გაფიცვას, იმავე პირების გავლენით მიემხრნენ პეტერბურგის ზოგიერთ სხვა დიდი ქარხნების მუშებიც. შემდეგ გაფიცვა სწრაფად გავრცელდა და მოედო პეტერბურგის თითქმის ყველა ქარხანასა და ფაბრიკას. გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა მუშათა მოთხოვნილებანიც. ეს მოთხოვნილებანი, შედგენილი უმეტეს ნაწილად იმავე მღვდლის გაპონის მიერ, გავრცელებულ იქმნა მუშათა შორის. პირველად მოთხოვნილებანი ეხებოდა ადგილობრივ ქარხნებს და ზავოდებს და საქარხნო საკითხებს, შემდეგ-კი შეეხნენ საზოგადო საკითხებსაც—რვა საათის სამუშაო დღეს, მუშათა ორგანიზაციის მონაწილეობას იმ უთანხმოებაში, რომელიც ჩამოვარდება ხოლმე მუშებსა და პატრონებს შორის და სხვა. იმ ქარხნებისა და ზავოდების პატრონნი, სადაც გაფიცვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა, შეიკრიბნენ სათათბიროდ და სცნეს, რომ მუშათა ზოგიერთ მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან მოჰყვება რუსის მრეწველობის სრული დაცემაც. ზოგიერთ მოთხოვნილების განხილვა და რამდენადმე დაკმაყოფილება-კი შესაძლოდ სცნეს, რამდენადაც ამის ძალა შესწევს თვითეულ ქარხანას. ამასთან პატრონებმა სურვილი განაცხადეს მოლაპარაკება დაიწყონ, მაგრამ მუშების ორგანიზაციებთან კი-არა, არამედ ყველა ქარხანასა ც ზაოდში ცალკე. მოთხოვნათა განხილვის ასეთ წესზე მუშები უარს ამბობდნენ. რადგან გაფიცვას არავითარი უწესოება არ მოჰყოლია, მთავრობას არ მიუმართავს რეპრესიულ ღონისძიებისათვის და დღიდან დაწყებისა არც არავინ დაუტუსაღებ ი მუშათაგანი, არც გაუჩხრეკიათ. მაგრამ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა საზოგადოების აგიტაციას მალე დაერთო ფარულ რევოლიუციონურ წრეების წაქეზება. თვითონ ხსენებული საზოგადოება მღვდლის გაპონის მეთაურობით 8 იანვრის დილიდან გადავიდა ცხად რევოლიუციონურ პროპაგანდაზე. ამ დღეს მღვდელმა გაპონმა შეადგინა და გაავრცელა მუშების პეტიცია ხელმწიფის სახელზე. ამ პეტიციაში, გარდა შრომის პირობების შეცვლისა, მოთავსებულია თავხედი მოთხოვნანი პოლიტიკურის ხასიათისა. მუშათა წრეში გაავრცელეს ხმა და პროკლამაციები, რომ აუცილებელია შეკრება სასახლის მოედანზე 9 იანვრის 2 საათისთვის და მღვდელ გაპონის საშუალებით გადაცემა ხელმწიფისთვის მუშათა საჭიროებათა შესახებ თხოვნა. ამ პროკლამაციებში პოლიტიკურ ხასიათის მოთხოვნაზე არაფერი იყო ნათქვამი, მუშების უმრავლესობას არ უმხელდნენ სასახლის მოედანზე შეკრების ნამდვილ მიზანს. ფანატიურმა ქადაგებამ, რომელსაც ეწეოდა თავის ხარისხის სიწმინდის დამვიწყებელი მღვდელი გაპონი, და მავნე პირთა ბოროტ-განზრახულმა აგიტაციამ იმდენად აღელვა მუშები, რომ 9 იანვარს მრავალ-რიცხოვან ჯგუფებად გაემართნენ ქალაქის ცენტრისაკენ. ზოგ ადგილას მუშებსა და ჯარს შორის სისხლის ღვრა მოხდა, რადგან არ იშლებოდნენ და ხანდახან თავს ესხმოდნენ კიდეც ჯარებს. ჯარები იძულებული იყვნენ თოფები ესროლათ შლისელბურგის ტრაქტზე, ნარვის კარებთან, ტროიცკის ხიდთან მესამე ლინიაზე, ვასილიევის კუნძულის პატარა პროსპექტზე, ალექსანდრეს ბაღთან, ნევის პროსპექტის კუთხეში, გოგოლის ქუჩაზე, პოლიციის ხიდთან და ყაზანის მოედანზე, ვასილიევის კუნძულის მეოთხე ლინიაზე ბრბომ გააშენა მავთულებისა და ფიცრებისაგან სამი ბარიკადი და ზედ მიამაგრა წითელი დროშა. მეზობელ სახლების ფანჯრებიდან ჯარს დაუშინეს ქვები და რევოლვერებიც ესროლეს. პოლიციელებს ბრბო ართმევდა ხმლებს, გაძარცვეს შაფფის თოფხანა, მოიტაცეს ასამდე პირი ხმლისა, რომელნიც მეტწილად ისევ წაართვეს პოლიციელებმა. პირველ ნაწილში ვასილევსკის მხარეზე ბრბოს ერთმა ნაწილმა ტელეფონების მავლთულები დასწყვიტა და ტელეფონის ბოძები წააქცია. ამ ვასილევსკის უბანში მეორე პოლიციის ნაწილის შენობას დაეცნენ და დაანგრიეს. იმავ საღამოს დიდს და პატარა პროსპექტებზე პეტერბურგის მხარის უბანში ხუთი დუქანი აიკლეს. საზოგადო რიცხვი თოფის სროლით მოკლულისა და დაჭრილისა, როგორც ბოლნიცებიდან ცნობებს იძლევიან, საღამოს 8 საათამდე იყო: მოკლულია 76 კაცი, ამათ შორის უბნის მოთვალყურეა და დაჭრილია 233, ამათ შორის მძიმე არის დაჭრილი ბოქაულის თანაშემწე და სუმბუქად დაიჭრნენ ჟანდარმის დივიზიონის სალდათი და გოროდოვოი. ათ იანვარისათვის იმგვარივე ზომები მიღებული როგორც ცხრა იანვარს იყო მიღებული ქალაქის დასაცველად.

*** შემდეგ საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს „რუს. ვედ.“: «განზრახულია გაამარტივონ კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მართვა-გამგეობა. ზოგიერთ გუბერნიაში გაუქმებულ იქნება გაძლიერებული დაცვა, რომელიც რამდენიმე ათი წელიწადი მოქმედებს».

*** იგივე გაზეთი სწერს: «სომეხთა საეკკლესიო სამზრუნველოებს ნება მიეცათ დამოუკიდებლად მოიხმარონ ის ფული, რომელიც სხვა-და-სხვა შემოწირველთაგან შევა სომეხთა საჭიროებათათვის».

*** დღემდე პერიოდულ გამოცემის სრული აკრძალვა შეადგენდა სამის მინისტრის (შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების და იუსტიციისა) და უწმინდეს სინოდის ობერ-პროკუროის საერთო კომპეტენციას (148 მუხლი ცენზურის წესდებისა). მინისტრთა კომიტეტს უკანასკნელ თავის სხდომაზე 31 დეკემბერს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ეს წესი უნდა შეიცვალოსო.

*** სრული გადასინჯვა ბეჭდვითი სიტყვის

კანონებისა მიანდეს საგანგებო კომისიას. საფუძველი კომისიის მუშაობისა იქნება პრინციპი წინასწარ ცენზურის მოსპობისა პერიოდულ პრესისათვის. კომისიაში წევრებად არიან სახელმწიფო საბჭოს წევრები და სენატორები, რომელნიც ახლო იცნობენ თანამედროვე მწერლობის მდგომარეობას; აქვე იქნებიან მეჰდვით საქმის მთავარ-სამმართველოს ყოფილი უფროსები.

*** რუსეთის სახელმწიფოს ვალი 1905 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 7 ათას მილიონ მანეთს.

*** პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა ახალგაზდა პროფესსორებმა წერილი გაუგზავნეს მოსკოვის უნივერსიტეტის ცნობილ პროფესსორს ტიმირიაზევს, რომელშიაც გამოსთქვეს, რამდენად შევიწროებულნი არიან დღეს რუსეთში მეცნიერების მკვლევარნი, და გულ-წრფელი მადლობა გამოუცხადეს ტიმორიაზებს, მეცნიერების თავისუფლების მედგარ დამცველს.

*** რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებიდან ცნობები მოდის «ნაშა ჟიზნს» იმის შესახებ, თუ როკორ შევიწროვებულნი არიან რუსეთში უცხოეთის ჟურნალ-გაზეთების ხელის მომწერნი. ეს ჟურნალ-გაზეთები იმდენად დასახიჩრებულია ცენზორის მაკრატლისაგან, რომ ალარაფრადაა მოსახმარიო.

*** **მუშების მოძრაობა პეტერბურღში.** მოსკოველ გაზეთებს შემდეგი ცნობები მოსვლიათ 10 იანვარს:

I. 1 ს. და 30 წ. ქუჩებში მშვიდობიანობაა. იმ ქუჩებზე, რომელნიც ნევის პროსპექტის და პეტერბურგის მხრის ახლოს არიან, მუშები ჯგუფ-ჯგუფად დადიან. ჯარი თითქმის არა სჩანს, გარდა სასახლის მოედნისა და ვასილიევის კუნძულისა. 12 საათზე ხალხს ალარ უშვებდნენ სასახლის მოედანზე; მოძრაობა აქ შეჩერებული იქნება. ნევსკზე ერთ სახლში ფანჯრებია ჩამტვრეული. ვასილიევის კუნძულზე ბევრ ადგილს ფანჯრები ფიცრებით აკრეს.

II. 4 ს 50 წ. ოლქის სასამართლოს მეოთხე სამოქალაქო განყოფილებამ სხდომა შესწყვიტა თანახმად ათ ნაფიც ვექილის განცხადებისა—ვითხოვთ საქმის განხილვის შეჩერებას, რადგან მეტად აღელვებულნი ვართო. ნაფიც ვექილებს განზრახვა აქვთ შეაჩერონ ყველა საქმეები.

III. 6 ს. 45 წ. სალამო. ბევრ ადგილას შესდგა კრებები, მეტ ნაწილად ინტელიგენტებისა. უფრო მრავალ-რიცხოვანი კრება „თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოება“-ში იყო. ნევსკზე ინტელიგენტების ერთმა ჯგუფმა მაღაზიები დააკეტინა პატრონებს მ ძრაობის თანაგრძნობის ნიშნად. სალამოს, როცა ელექტრონები გაჰქრა, ნევსკზე ხალხი შიშმა აიტანა ᲓᲐ დიდი მიხლა-მოხლა იყო; ყველას უნდოდა სხვა ქუჩებზე გადასვლა. გოსტინი დვორში რამდენიმე ცდა იყო დუქნების გაძარცვისა.

IV. 7 ს. სალამო. 40 ხმოსანმა გადასწყვიტა შეიტანოს საბჭოს უახლოეს სხდომაში წინადადება —ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ მცხოვრებნი დაიცვან უწესოების შედეგისაგან.

V. 10 ს. სალამო. ქუჩებში არავინ არის, გარდა ვოზნესენსკისა და სადოვოისა—აქ კი დიდძალი ხალხი დადის, თუმცა ბნელა. დარაჯები მიდი-მოდიან. რესტორანები და მაღაზიები დაკეტილია.

ხმა დადის, რომ 9 იანვარს მამა გიორგი გაპონი სასიკვდილოდ დაიჭრა.

*** ტელეგრამებმა მოიტანეს ცნობა, რომ სანდეპუს სოფელთან ომი მოხდა. რუსებს უნდოდათ ეს სოფელი წაერთმიათ იაპონელებისათვის, მაგრამ ვერ აიღეს და რუსები უკუაქციეს. შეტაკებები იყო მთელ ფრონტზე რუსებსა და იაპონელებთა შორის და როგორც ტელეგრამები გვაცნობებენ იაპონელებმა მოკლული და დაჭრილი დაკარგეს ხუთი ათასამდისინ, ხოლო რუსებმა—თერთმეტი ათასამდე.

*** შინაგანი საქმის მინისტრი სვიატოპოლკ მირსკი სამსახურიდან დათხოვნილია. იუსტიციის მინისტრმაც თავი დაანება სამსახურს.

*** ნავთი და სხვა ხორაგოულობა ძლიერ გაძვირდა რკინის გზაზე მოძრაობის შეჩერებისგამო.

*** მინისტრების კომიტეტს სხდომები უნდა ექნეს მალე, სარწმუნოების საქმის კითხვებისა გამო. ამ კრებაზე ობერ-პროკურორის მაგიერ, რადგან იგი ავათ არის, მისი ამხანაგი ვ. კ. საბლერი დაესწრება.

*** ჭიათურაში მუშები შეიკრიბენ სადგურის ახლო, მაგრამ დაიშალენ და უწესოება არა ჩაუდენიათ-რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

## საუბარი დაბადებიდამ.

## XI.

### ბაბილონის გოდოლი.

წიგნი „შექმნათა“, XI, 1—9.

(გაგრძელება*)

წარღვნის შემდეგ, ღვთის მიერ ნაკურთხმა ნოეს ოჯახმა ქვეყნად გავრცელება იწყო. ცხადია, როგორც ერთი ოჯახის შვილთ, ადამიანებს დაცული ექნებოდათ ერთობა ზნეჩვეულებათა, ცხოვრებისა და განსაკუთრებით ერთობა ენისა, რომელიც ადამიანთა შორის ყველაზე უფრო ცხოველი და განუყრელი კავშირია. მაგრამ მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც ეს კავშირი გაწყვიტა და ერთი ენით მოლაპარაკე ნოეს ჩამომავლობისაგან ათასგვარ სხვა და სხვა ენებზე მოლაპარაკე ერები შექმნა, ერთმანეთს დააშორა ⁊ მთელი ქვეყნის კიდეებში გაფანტა.

წარღვნის შემდეგ ნოეს ოჯახობა თან-და-თან არარატს მოშორდა, რომლის ძირშიაც იგი წინეთ დასახლდა. შემდგომ მისმა ჩამომავლობამ კიდევ შორს გაიწია და სენაარის ვაკეებში დასახლდა. ამაზე უკეთესი და ნაყოფიერი ადგილის პოვნა მას არ შეეძლო. მთელი ეს ადგილი ორი დიდი მდინარით ირწყვება: ტიგრითა და ეფრატით. საკმაოა ეფრატს წვიმისაგან სულ მცირეთ წყალი მოემატოს, რომ იგი ნაპირებიდან გადმოვიდეს და გარემო მიწები დაანაყოფიეროს.

აი, სწორედ ამ ადგილზე მოინდომა ნოეს ჩამომავლობამ ქალაქის აშენება, კოშკითურთ, რომლის წვერიც ზეცას უნდა მიწვდომოდა. რა მიზანი უნდა ქონებოდა ამ უაზრო განზრახვას?.. «ვყოთ თავთა თვისად სახელი. პირველ განთესვისა ჩვენისა პირსა ზედა ყოვლისა ქვეყნისასა»,—ასე ლაპარაკობდნენ იგინი, როცა გოდლის აგებას შეუდგნენ. რამდენათაც გვესმის, ეს უნდა ყოფილიყო ერთის რომლის სამე გვარის მისწრაფება სხვებზე გაბატონებისადმი. ერთ ადგილას შეგროვება—ძალის მომატებას ნიშნავს; ხოლო ძალის მომატებას სხვა წვრილ-წვრილ და გაფანტულ ოჯახებზე და გვარებზე გაბატონება მოსდევს. აი, ამას ქვია—„თავთა თვისთა სახელის ქმნა“, ე. ი. თვისი ძლიერებით თავის გამოჩენა და მით იმ პირთა დამონება, რომელთაც განცალკევებით ერთმანეთი დაუსუსტებიათ. ამგვარ მისწრაფებასთან ცხადი და ადვილი გასაგებია აშენება „ქალაქისა კოშკითურთ“, ე. ი. ციხე-სიმაგრისა. ამ ადგილის გაგება სხვაფრივ შეუძლებელია: ეს ქალაქი ხალხთა განბნევის შემდეგაც პირველი სატახტო ქალაქი შეიქნა იმ პირველი სამეფოსი, რომელსაც ისტორია ზღაპარ-სიტყვაობით იხსენიებს. ეს სამეფო ნებროთს ეკუთვნოდა, რომელზედაც საღმრთო წერილი ბრძანებს, რომ «მან იწყო გმირ ყოფად ქვეყანასა ზედა»-ო, ე. ი. სხვებზე ბატონობის საფუძველი დაუდოო. შესაძლოა, თვით ამ ციხე-სიმაგრის აშენების პირველი აზრიც მას კუთვნებოდეს; ხოლო როდესაც მაშენებელნი მთელს ქვეყანაზე გაიფანტენ, მას მათი ნაშრომით ესარგებლნოს.

ყოველ შემთხვევაში ეს განზრახვა უაზრო და გიჟური განზრახვა იყო, რადგან ღვთის პირდაპირს ბრძანებას ეწინააღმდეგებოდა, რომელიც ნოეს სახლობის დალოცვაში გამოიხატა: „აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა“-ო. ყოველ შემთხვევაში, ეს განზრახვა სადანაშაულო განზრახვა იყო, რადგან საფუძვლად ისეთი ქვენა გრძნობა ედვა, რომელიც ყველა გრძნობებზე უსასტიკესია და ყოვლის დამაქცევარი, სახელდობრ სურვილი აადმიანის პიროვნების დამონავებისა და დაჩაგვრისა. რა თქმა უნდა, სასჯელი აუცილებელი იქნებოდა. მაგრამ მართლმსაჯულმა ღმერთმა ისეთი სასჯელი მიუსაჯა, რომელმაც ნოეს ჩამომავალთა შორის ყველაზე უუცხოველესი კავშირი გაწყვიტა: «მან შეურივნა მათ ენანი, რათა არა ესმოდეს მუნ თითოეულსა ხმაჲ მოყვსისა». ამასთან ერთად, უაზრო განზრახვაც თავის-თავათ მოისპო და ნოეს ჩამომავლობა მთელი დედამიწის პირზე გაიფანტა.

აქედან წარმოდგნენ „ენანი“, ე. ი. სხვა-და-სხვა ენით მოლაპარაკე ტომნი და ერნი.

---

*) იხ. „მწყემსი“ № 10, 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რიგათ, «შერევნით» დასჯა, იმავე დროს, «განყოფით» დასჯაც იყო. განიყვნენ და განიბნენ ნოეს ჩამომავალნი,—და თან წაიყოლიეს მთელი კაცობრიობის ერთ-სისხლიანობისა და მონათესაობის აზრი კი არა, არამედ საურთიერთო მტრობა და განხეთქილება. და განა მარტო „განხეთქილება“? არა, მათ თან წარიტანეს თვით ის დამღუპველი გრძნობაც, რომელმაც ეს განხეთქილება გამოიწვია, სახელდობრ ქვეყნის კიდით კიდემდე თან წარიღეს სხვების დამონებისა და დამორჩილებისადმი მისწრაფება და შემდეგ, მემკვიდრეობით, მათგან ჩამომავალ ტომთაც გადასცეს. ერთი მეორის მეზობლათ დასახლებული ორი, სხვა და სხვა ენით მოლაპარაკე, ერი ვერასგზით ერთმანეთს ვერ ურიგდებოდა,—თითქმის ღვთის გაჩენილი ქვეყანა ევიწროებათო: ერთი უსათუოთ ცდილობდა—მეორის განდევნას, დამონავებას ან, არადა, მთლათ მოსპობასაც. და რამდენი ერი გამოესალმა ამნაირათ წუთისოფელს, რამდენი ხალხი მოისპო და აღიგავა პირისაგან ქვეყნისა?!...

მაგრამ ისწავლა თუ არა კაცობრიობამ რაიმე ხერხი, ეს კაინისებური სისხლის ღვრა ამ უკანასკნელ, „სახელ-განთქმულ“ საუკუნეებში მაინც თავიდან აეშორებია?

თქვენ თვითონ უწყით, ძმანო, რომ არა. სხვადასხვა ენის ხალხნი ჩვენ დროშიაც ძმურათ ცხოვრებას ვერ ახერხებენ. ყველას ყველგან ევიწროვება; ყველა გაგიჟებით მიისწრაფვის სხვები დაიმონოს და დაიმორჩილოს, სხვას კისერზე შეაჯდეს და სისხლი გამოსწოვოს. აქედან კი დრო და დრო გამოშვებით, ზოგჯერ კი მთელი წლობითაც ადამიანის სისხლი არა პატარა ნაკადულებად, არამედ მთელ მდინარეებად იღვრება; ადამიანის გონება კი, რაც გაეწყობა, მეტს ვარჯიშობს სასიკვდილო იარაღების გამოგონებაში.

ქვეყნის დასასრულამდე ასე დავრჩებით, თუ კაცობრიობა თავისისავე სისხლის მორევში ჩაიღუპება,—ეს ღვთის მეტმა არავინ უწყის. თანამედროვე ცხოვრების მოვლენანი კი ამაზე უკეთესს არას გვიქადიან. მართალია, მტრობისა და განხეთქილების წინააღმდეგ მაცხოვარმა ქვეყნად შემაერთებელი დასაბამი შემოიტანა, სახელდობრ—სახარება, რომელმაც ენითა და გვარ-ტომობით დაშორებული ნაწილები კაცობრიობისა ერთმანეთს უნდა შეუერთოს და შეუკავშიროს რწმენისა, იმედებისა და მიზნის ერთობით და მსოფლიო ცხოვრების საყოველთაო კანონით—**სიყვარულით**; მაგრამ მივაღწიეთ რაიმე სასურველ შედეგს თუ არა?.. ცხრამეტ საუკუნეზე მეტია, რაც კაცთა შორის სახარება არსებობს; მთელი ტომნი ქრისტეს სახელს აღიარებენ; მაგრამ ჩააღწია თუ არა მათს შეგნებამდე მაცხოვრის მოძღვრებამ ყოვლის შემათანხმებელ და ყოვლის-შემაერთებელ სიყვარულის შესახებ?.. სრულიადაც არა. ის ერები, რომელნიც თავის თავს ქრისტიანებს ეძახიან, დღესაც მზათ არიან ძმის სისხლი დანთხიონ, როგორც იმ დროს, როცა ჯერ ისევ წარმართები იყვნენ. საერთაშორისო მშვიდობიანობაზე და იარაღის აყრაზე ლაპარაკი უბრალო ფარისევლობად გადაიქცა. სიტყვა საქ[illegible] არ ეთანხმება და საქმე სიტყვას. რაშია ამისი მიზეზი? იმაში, რომ ის ერები, რომელნიც თავის-თავს ქრისტიანებს ეძახიან, ქრისტესი და მისი სახარების მიმდევარნი არ არიან, თვისი მიზნითა და მისწრაფებით, ცხოვრებითა და თვით რწმენითაც კი იგინი ისევ წარმართები არიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველი დროის წარმართები თავის თავს ქრისტიანებად არა სთვლიდენ, ესენი კი ქრისტეს სახელით თავს იფარავენ. ნუ გიკვირსთ, ძმანო, ჩვენი ნათქვამი: „თვით რწმენითაც კი წარმართები არიანო“, მართლაც, რა ქრისტიანული რწმენაა ის რწმენა, რომელიც ძალდატანებაზე, დევნაზე, სისხლის ღვრაზე, სასჯელსა და წამებაზეა დამყარებული? ეს ქრისტიანული სარწმუნოება კი არა, უუსასტიკესი წარმართობაა: სინიდისის სრული თავისუფლება, —აი, რა უნდა ედვას საფუძვლად ქრისტიანობრივ სარწმუნოებას (იოან. 6, 66 – 68). და მერე რამოდენა სისხლია დაღვრილი ქრისტიანებისაგან ეგრეთ წოდებულ სარწმუნოებრივს ომებში? რამდენი ათასი და ათი-ათასი ნამდვილი ქრისტიანი დაღუპულა ხმლით, ცეცხლით და ათასგვარის წამებით, რომლის მსგავსი ქრისტიანობის თვით პირველ საუკუნეებშიაც კი წარმართობას არა მოუხდენია-რა! რისი ძალით დაიღუპა ეს უთვალავი ათასი მართლმორწმუნე?.. იმისი ძალით, რომ მათ სურდათ მხოლოდ ქრისტეს მსახურნი ყოფილიყვენ, და არა იმ ურჯულოებისა (**изувѣръ**), რომელნიც მთელს საქრისტიანოზე გაბატონებას მიესწრაფოდენ, —და არა იმ ფარისევლობისა, რომელნიც ვითომ ქრისტეს სახელისათვის თავგამოდებით ცდილობდენ ყველაფერი დაეფარათ, რაც კი რამ საზიზღარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწმინდური მოიპოება ადამიანის ვნებათა შორის. ამ რიგათ, თვით ქრისტეს სახარებაც კი, ფარისევლობით დამახინჯებული, მხოლოდ მიზეზი შეიქნა არა მარტო ტომთა შორის, არამედ ერთსა და იმავე ტომის წევრთა შორის განხეთქილებისა და სისხლის ღვრის.

საშიშია, ძმანო, ჩვენი მდგომარეობა! აი რისთვისაა საჭირო, უფრო გულმოდგინეთ ვილოცოთ: «მოვედინ სუფევა შენი!»—რათა ერთ დროს მაინც დაგვიდგეს ქვეყნად სუფევა ღვთისა, სუფევა სიმართლისა, სიყვარულისა და თავისუფლებისა. ხოლო ეს სასურველი და კურთხეული სუფევა მხოლოდ მაშინ დადგება, როცა ჩვენი სიცოცხლის უუმთავრეს ანონად, ყველასთვის ერთად და თვითეულისთვის კერძოთ, ფარისევლურის დამატებებით დაუმახინჯებელი სახარება გახდება.

(გაგრძელება იქნება).

ს. გორგაძე.

---

## ახლად შობილ ქრისტეს აკვანთან.

(საშობაო მოთხრობა მოგვების თაყვანისცემაზედ)

**საღვთო ნილოსის ნაპირებიდან.**

V.

(გაგრძელება*)

ის შეჩერდა თითქო უნდა მოიფიქროსო და მერე განაგრძო:

მრავალ ერთა შეიყვარეს ნილოსის ტკბილი წყლები, განაგრძო მან; ეთიოპელმა, პალი-პეტრამ, ებრაელმა, ასირიელმა, სპარსელმა, მაკოდენელმა, რომაელმა და ყველა ისინი, ურიებს გარდა. ჩვენს ქვეყანაში ბატონობდნენ. ამისთანა მიხეთქ-მოხეთქებას მოჰყვა ის, რომ მიცრაიმის სარწმუნოება გააფუჭეს. დაფნებთა ქალაკი გარდაიქცა ღმერთთა ქალაკად. ერთი უზენაესი ღმერთი რვად გაიყო, თვითვეული მათგანი ბუნების რომელიმე ნაწილის წარმომადგენელი იყო ამონრას მეთაურობით. მერე გამოიგონეს იზიდა და ეზირისი და მთელი მისი წრე, რომელიც წარმოადგენდა წყალსა, ცეცხლსა, პურს და სხვა ძალებსა. ასეთი ღმერთების გამრავლება გაგრძელდა მანამდის, სანამ არ მივიღეთ მეორე ხარისხი მათი, რომელიც წარმოსდგა კაცთა თვისებიდან, როგორიცაა ძალა, ცოდნა, სიყვარული დ სხვ.

—ყველა ამაებში სისულელე სჩანს, ჩაერია ბერძენი. მხოლოდ მიუწდომელნი ნივთნი დარჩნენ ისეთივენი ჩვენამდისინ.

ეგვიპტელმა თავი დაუკრა და განაგრძო:

—ძმებო მომითმინეთ ცოტა, მოვიფიქრო ის, რასაც ჩვენ ველტვით, ყოველთვის გვგონია რომ შეუდარებლად წმიდაა მასზედ რაც იყო, რაც არის და რაც იქნება. წერილებში მოთხრობილია, რომ მიცრაიმმა ნახა ნილოსი, თიოპელების ფლობელობაში, რომელნიც აქედამ აფრიკის უდაბნოში გავრცელდენ—ესენი ცნობილ იყვნენ როგორც ფანტასტიური გენიოსები, ბუნების სრული განღმერთებელნი. პოეტიური სპარსელი სწირავდა მსხვერპლსა მზეს, როგორც ორმუზდის უუდიდეს მსგავსებასა, კეთილ-მსახურნი ძენი შორეულის აღმოსავლეთისანნი გამოსჭრიდენ ხოლმე ღვთაებებს ხიდან და სპილოს ძვლიდან; მაგრამ ეთიოპელი კი უწერილოთ, უწიგნოთ, ახარებდა თვისს სულს ცხოველების გაღმერთებით. კატის ღმერთი იყო, ხარის იზიდა და, ბუზის იტა, ხანგრძლივის ამ უხეირო სარწმუნოებისაგან ბრძოლის შემდეგ მიღებული იქმნა ახალის მონარქიის რელიგია. შემდეგ გააკეთეს უუდიდესი ძეგლები მდინარისა დ უდაბნოს პირად, ობელისკები, ლაბირინტები, პირამიდები და მეფეების აკალდამები. აი სანამდისინ დაეცნენ, ძმებო, აირიელნი.

აქ კი ეგვიპტელს მღელვარება დაეტყო, ხმა დაიმდაბლა და დაიწყო:

—ნურც აგრე აბუჩად აიგდებთ ჩემს თანამოძმეებს. ყველას კი არ დაუვიწყნიათ ღმერთი. მე წინაზე ვთქვი, ჩვენი საიდუმლოები მივანდეთ პაპირუსებს მეთქი, გარდა ერთისა; აი ახლა ამაზე მინდა მოგახსენოთ. ოდესღაც გვყავდა ჩვენ ცნობილი ფარაონი, რომელსაც ყოველ-გვარი ცვლილებანი უყვარდა; მან მოინდომა ახლის რელიგიის შემოღება და ძველის კი განძევება. მაშინ ჩყენში იყვნენ მონებად ურიები. მათ სწამდათ თავიანთი ღმერთი. როდესაც მათი ტანჯვა აუტანელი შეიქმნა, ისინი განთავისუფლდენ მონობის უღლიდან მისთანა გარემოების წყალობით, რომლის დავიწყება შეუძლებელია. ახლა წერილებიდან ვიტყვი. მოსე, თვითონ ურია, მოვიდა სრა სასახლეში ფარაოსთან მონების განსათავისუფლებლად, რომელთა რიცხვი ასი ათასამდე ადიოდა. ის ელაპარაკებოდა მას ღვთის პირით.

---

*) იხ. „მწყემსი“ № 23—24, 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარაომ უარი უთხრა. ყური მიგდეთ რა მოხდა ამის შემდეგ. რაღაც მიზეზისა-გამო წყალი მდინარეებში, ტბებში, ზღვებში და ჭებში სისხლად იქცა. მონარქი მაინც კიდევ უარზედ იდგა. მაშინ საიდღანღაც გაჩნდენ ბაყაყები ყველგან. ის მაინც თავისაზე იდგა. მაშინ მოსემ ჰაერში გაჰფანტა ფერფლი და ეგვიპტელებს მოედო ჭირი, შემდეგ გაწყდენ ცხოველები. კალიამ ნათესი მთლად მოსპო. შუა დღისას დაღამდა, ასე რომ სინათლე არ ანათებდა. და ბოლოს ღამით ყველა ეგვიპტელების პირმშონი გარდაიცვალენ. ეს ბედი არც ფარაოს შვილს ასცდა. მაშინ კი დაუთმო იმან. მაგრამ მოსე რომ ურიებით გაემგზავრა, ფარაო მხედრებით უკან დაედევნა. ისინი ის იყო დაეწივნენ თუ არა ზღვა ორად განიპო და გადარჩენ, ურიები გავიდენ-რა მეორე ნაპირას ხმელეთით, მაგრამ ის კი თავის მხედრობით შეერთებულმა კვლავ ზღვამ ჩანთქა. შენ აჰსპარ გამოცხადებაზე ამბობდი...

ბერძენს თვალები გაუბრწყინდა.

—მე ეგ ისტორია ერთის ურიისაგან გამიგონია და შენ ახლა ბალტასარ კიდეც ამტკიცებ მასვე,—სთქვა მან.

—დიაღ, ჩემს მაგიერად ამბობს ეგვიპტე და არა მოსე. მე განვმარტავ ქვის წერილებსა. მაშინდელი დროის მღვდელნი რაღაც ნაირად სწერდენ რასაც ამოწმებდენ თვითონ და გამოცხადება დაცული იყო ხოლმე. მეც ასე წავაწყდი ერთ-ერთს დაუწერელ საიდუმლოს. ჩემს ქვეყანაში, ძმებო, ამ ფარაოდან ორი რელიგია იყო ხოლმე: ერთი საზოგადო და მეორე—კერძო; ერთი ბევრ ღმერთებიანი იყო და მეორე კი ერთის ღმერთის ამარა. იხაროდეთ ჩემთან ძმანნო. ყოველი უცხო ერთა დათრუგვნა, ყოველ მეფეთა სიჯიუტე, ყოველივე მტრების გამოგონებანი, ყოველივე დროთა ცვლილებანნი—ყველაფერი ამაო იყო. როგორც თესლი მთებში გაბნეული თვის დროის მომლოდნელი, დიდებულმა ჭეშმარიტებამ განაგრძო არსებობა; და აი ახლა, დადგა მისი დრო!

—ინდოელი სიხარულისაგან შეკრთა და ბერძენმა კი ხმა მაღლა წარმოსთქვა:

—ასე მგონია თვით უდაბნოც კი ხარობს თითქო!

ეგვიპტელმა იქვე მდგომ მათარადან წყალი დალია და მერე განაგრძო:

—მე დავიბადე ალექსანდრიაში, მთავრათა და მღვდლათა და მივიღე ჩვეულებრივი განათლება; მაგრამ ჩქარა უკმაყოფილება ვიგრძენ. ჩემი სარწმუნოება მასწავლიდა, რომ შემდეგ გარდაცვალებისა და სხეულის დარღვევისა, ოდესმე სული წარმატებაში წავა დაბალის მდგომარეობიდან უკანასკნელს ყოფამდეო, ზნეობრივი ცხოვრების ყოფა-ქცევასთან დამოუკიდებლადო. როდესაც მე გავიგონე სპარსელის სამოთხეზედ ქინევატის ხიდს გაღმა, სადაც მხოლოდ კეთილნი მიემგზავრებიანო, მაშინ ჩემის თავიდან ფიქრი არ მშორდებოდა არც დღე და არც ღამე და ვფიქრობდი საუკუნო ზეცაში გარდასახლებაზედ. უკეთუ ღმერთი მართალია როგორც მასწავლიდა მე ჩემი მასწავლებელი, ვფიქრობდი, რატომ გარჩევა არაა ბოროტსა დ მართალსა შორის მეთქი? დაბოლოს მე ვიცანი, რომ სიკვდილი ცოდვილთათვის წაწყმედა არის მეთქი, ხოლო მართალთათვის უკეთ[illegible]ი ცხოვრება არა თუ ბუდდას, ნირვანსა და ბრამმის სასუფეველში, მელქიორ, არა-კეთილ სინიდისიერს სამყოფელში, ჰასპარ, არამედ ნამდვილ საუკუნო მხიარულს ღმერთთან ცხოვრებაში. ამან მე სხვა გზაზე წამიყვანა. რატომ სამღვდელოებისათვის უნდა არსებობდეს ეს ჭეშმარიტება მეთქი? ამის მიზეზი ვერ ვპოვე. ფილოსოფიამ სარწმუნოებას დაბალი თავისუფლება მიანიჭა. ეგვიპტეში რა მიზეზის ნაცვლად გვქონდა რომი? ერთხელ ძრიელ გაშენებულ ბუჰგეაში ალექსანდრიის ერთს-ერთს უბანში მე ვიწყე ქადაგება. მსმენელნი მოდიოდენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. მოვიდენ მოწაფეები წიგნთ-საცავში სამაცადინოთ, მღვდლები სერაპის ტაძრიდან, უქმის-მოყვარენნი მუზეიდან, თანამემამულენნი რაკოტიდან და სხვა მრავალი ხალხი მოაწყდა ჩემს ქოხსა. მე ვქადაგებდი ღმერთზე, სულზე, სიმართლესა და უსამართლობაზე, ზეცაზე, ჯილდოზე, კეთილ-ცხოვრებისათვის. შენ, მელქიორ, მგონი ქვები მოგბეგვეს ღარმე; ჩემი მსმენელნი კი ჯერ გაჰკვირდენ და მერე საცინად ამიგდეს. მე ჩემსას არ ვიშლიდი მაინც კიდევ. იმათ ეპიგრამები მიმახალეს თავში, ჩემი ღმერთი საცინლად აიგდეს და ჩემს ზეცას კიჟინა დააყარეს. რომ ტყუილ უბრალოდ არ მექადაგნა მე იმათ გავცილდი.

—ინდოელის გულიდან ოხვრა ამოხდა და სთქვა: «კაცის მტერი კაცივეაო».

ბალტასარი სდუმდა.

—მე ვიფიქრე და ბოლოს ეს გზა ვირჩიე, სთქვა მან.

მდინარეს გაღმა, ერთის დღის სავალზედ ქალაქიდან არის სოფელი მწყემსებისა და მებაღეებისაგან გაშენებული. მე ჩავჯექ ნავში და გაველი იქითკენ. საღამოთი მოვიხმე ყველა იქაური მკვიდრნი. მე იმათ უქადაგე, ისე როგორც სხვაგან და საცინად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აუგდივარ. მეორე საღამოთიც ვიქადაგე, იმათ ჩემი სწამდათ და უხაროდათ, ჩემი ქება ქვეყნად მოჰფინეს. მესამე კრების დროს შესდგა მლოცველთა საზოგადოება. მერე დავბრუნდი ქალაქში. როდესაც მდინარეზე მივსცურავდი ნავით, ქვემოთ ვარსკვლავები არა ჩვეულებრივად ანათებდენ და შემდეგ საქმე ასე მოვიწყვე, უნდა იწყო საქმე ისე, რომ მდიდრებს და დიდ კაცებს კი არ უნდა მიჰმართო, არამედ მათ—რომელთათვის ბედნიერების ფიალა ცალიერია, ღარიბთა დ გაკიცხულთა. ჯერ მინდოდა ჩემი მამულის საქმე ისე დამეყენებია, რომ იგი ღარიბთათვის ყოფილიყო. ამ დღიდანვე ვიწყე მგზავრობა ნილოსის ზემო და ქვემო სოფლებში და ვქადაგებდი ერთს ღმერთზე, მთელს ცხოვრებაზედ და ზეცაში დაჯილდოებაზე. მე კეთილს საქმეს ჩავდიოდი, მაგრამ რამდენს კი არ ვიცოდი. ეს კი უეჭველი იყო რომ მრავალი მიიღებდა მას, რომლის სანახავად ახლა ჩვენ მივალთ.

მესაუბრეს სახე გაუბრწყინდა, მაგრამ მღელვარებამ დასძლია და კვლავ განაგრძო:

ასე გადიოდა წლები ძმებო და ჩემი საფიქრებელი მხოლოდ ერთი-ღა ეს იყო: როდესაც მე წავალ, ჩემს დაწყებულ საქმეს რა მოუვა მეთქი? ნუ თუ იგიც ჩემთან ერთად უნდა მოისპოს? მე დიდ ხანს ვფიქრობდი მისთანა რამ დამეარსებინა, რომელიც ჩემის შრომის დამგვირგვინებელი ყოფილიყო. თქვენთან რომ არაფერი დავფარო ვიტყვი, რომ ეს მქონდა აზრად, მაგრამ საქმეს ბოლო ვერ მოუღე. ჩემო ძმებო! ქვეყანა მისთანა მდგომარეობაშია ამ ჟამად, რომ ძველის მიცრაიმის სარწმუნოებას კაცი სხვანაირად უნდა მოექცეს. ის არამც თუ ღვთის სახელით მოვა, კიდეც დააჯერებს მის მიერ წარმოთქმულ სწავლაში. მან უნდა დაამტკიცოს ღვთის არსებობა. ღმერთებით ისეა სავსე სული, ცრუ ღმერთებმა ისე აავსეს ყველაფერი, დედა-მიწაზე, ზეცა, ჰაერი, რომ პირვანდელის რელიგიის დასაბრუნებლად თავი უნდა დასდონ მისმა გამავრცელებლებმა უარის უთქმელად. ამ ხარისხამდე ვის ძალუძს ჩვენს დროში დააყენოს სარწმუნოება თუ არა თვით ღმერთსა. ერის გამოსახსნელად საჭიროა რომ იგი კვლავ პირის-პირ მოვიდეს.

ღრმა მღელვარებამ მოიცვა სამთავენნი.

—ჩვენც ხომ მის სანახავად მივდივართ! წამოიძახა ბერძენმა.

თქვენ მიხვდებოდით, რომ ჩემმა ცდამ ამაოდ რად ჩაიარა, სთქვა ეგვიპტელმა. ზეგარდმო მონაბერი ნიჭი არ მქონია. იმ რწმენამ, რომ ჩემმა საქმემ უარესად უნდა ჩაიაროს მეთქი, მე აუტანელ უბედურ ... ცად მაქცია. მე ლოცვა მრწამდა და ჩემი ვედრება რომ წმიდა და ძლიერი ყოფილიყო მე თქვენსავით ავსცდი უხეირო გზასა, წაველ იქ, სადაც ადამიანი არ იყო, არამედ უფალი ჰსუფევდა. მეხუთე ჩანჩქერის გაღმა სენაართან, მდინარეების შესართავთან, ბარ-ელ-ამიადს გაღმა, შიგ შორეულს აფრიკაში დავიდე ბინა. იქაა ერთი მთა ფირუზის ფერი, რომელიც დილით სცემს ცივს ჩრდილს დასავლეთის უდაბნოსაკენ და მის გამდნარის თოვლისაგან ივსება ერთი ტბა დასავლეთისაკენ მდებარე. ეს ტბაა დედა დიდის მდინარისა. ერთს წელწადზე მეტი იქ დავყავ და სულს ლოცვით ვასაზრდოვებდი და ხორცს კი დაფნების ნაყოფთაგან. ერთხელ მე ბაღჩაში დავსეირნობდი «ქვეყანას აღსასრული მოელის. როდის მოხვალ შენ? რატომ არ უნდა ვიხილო მე გამოხსნაჲ ღმერთო»! ასე ვლოცულობდი ჩემთვის მე. სარკისებურ წყალზე ვარსკვლავები ციმციმებდენ. ერთი მათგანი თითქო დაიძრა თვისს ადგილიდანაო,—ზემოთ წავიდა და ისე გაბრწყინდა თითქო მზეაო; მერე ჩემსკენ წამოვიდა და ჩემს თავთან გაჩერდა ერთის შეხედულებით ისეთი ახლო იყო რომ შემეძლო ხელი მომეკიდა მისთვის. მე პირქვე დავემხვე, თვალებზე ხელები დავიფარე და ყურში ამ დროს რაღაც არა ქვეყნიური ხმა მომესმა: „შენმა კეთილმა საქმეებმა სძლიეს. კურთხეულ ხარ შენ ძე მიცრაიმისაო. დადგა გამოხსნის დრო. ორს სხვა პირებთან ერთად, რომელნიც მოვლენ შორეულის ქვეყნიდან, შენ იხილავ, მაცხოვარსა და სწამებ მისთვის. ადსდეგ დილით და შეხვდი მათ, როდესაც სამივენი მიხვალთ იერუსალიმში, ჰკითხეთ ერთსა: „სადაა შობილი მეუფე ურიათა-თქო, ვინაიდგან ჩვენ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავლეთით და გამოგზავნილი ვარ მის თაყვანის-საცემლადა. დასდევ ყოველივე სასოება სულზე, რომელიც გიწინამძღვრებს შენ».

—აი ამ სინათლემ გააბრწყინვა ჩემი გული და სული იყო ჩემი ხელ-მძღვანელი. მან მომიყვანა მე მდინარის ქვემო მემფვისამდე, საიდამაც მოვემზადე უდაბნოში წასასვლელად. იქ ვიყიდე აქლემი და წამოველ აქ შეუჩერებლად სუეცით, კუფელით, მოაშით და ამმონით. ჩვენთან არს ღმერთი! ძმანო ჩემნო?

ის რომ შეჩერდა, მერე ყველა წამოდგენ და დაუწყეს ყურება ერთი მეორეს.

—მე ვსთქვი რომ ტყუილად კი არ გვიამბია ერთი მეორესთვის ჩვენს ერებზე და მათ ისტორიაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი, გააგრძელა ეგვიპტელმა. ჩვენ მივდივართ იმის სანახავად, ვისაც ეწოდების მეუფე ურიათა. ამ სახელით უნდა მოვნახოთ ჩვენ ის. აი რადგან ეხლა შევხვდით ერთმანეთსა ⴃ ერთმა მეორე მოუსმინეთ თვის თვისი თავგადასავალი ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ის მხსნელია არა თუ მარტო ურიებისა, არამედ მთელი ქვეყნისა. პატრიარქ ნოეს წარღვნის შემდეგ ჰყავდა სამი შვილი, რომელთაგან ხელ-მეორედ გაშენდა ქვეყანა. ისინი გამრავლდენ ძველის არიანში, აზიაში, ინდოეთში და აღმოსავლეთში; უნცროსის შთამოება წავიდა სამხრეთისაკენ, ევროპაში; მეორეს შთამოება აფრიკიდან გადასული მეწამულის ზღვის ახლო მდებარე უდაბნოში დაშენდა; უკანასკნელთაგანი ახლაც ცხოვრებენ კარვებში ნილოსის ახლო.

თითქმის რაღაც უძლეველმა გრძნობამ შეიპყრო ისინი, სამთავემ ერთი მეორეს ხელი ხელში ჩაავლეს.

—ამაზე მეტი სასწაულებრივი შეხვედრა რაღა იქნება,—ამბობდა ბალტასარი. როდესაც ვიხილოთ, ჩვენ უფალი თაყვანი ვსცეთ მას; როდესაც ერთი მეორეს დავშორდებით ქვეყანა შეიგნებს, რომ ზეცას მახვილით და კაცის სიბრძნით კი ვერ დავიარსებთ, არამედ სარწმუნოებით, სიყვარულით და კეთილის საქმეებით.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომლის დროს ხან ოხვრა ისმოდა, ხან ცრემლები ჩამოსდიოდათ თვალთაგან მათ, ამისათვის, რომ ის სიყვარული, რომლითაც ისინი შეპყრობილი იყვნენ, გამოუთქმელი იყო. უდაბნო თან-და-თან ხარობდა. მზე ჩასვლას ეშურებოდა. აქლემებს ეძინათ.

გაიარა ცოტა ხანმა, აიღეს სუფრიდან და ნამუსრევი ჩააწყეს ხურჯინებში. ისინნი კარავში დადგეს და საპალნეები დაამზადეს; სამნივე ამხანაგები შესხდნენ აქლემებზე და ერთს თოკს მოჰკიდა ხელი ყველამ და თავი თოკისა კი ეგვიპტელს ეჭირა. ისინი მიემგზავრებოდენ დასავლეთისაკენ. ცივს ღამეში აქლემები ზლაზვნით მიაბიჯებდენ ერთს ბილიკზე, გამბით. მგზავრთ მუსაიფი შესწყვიტეს. მთვარე თვის სამფლობელოდან ნელ-ნელა ამოსცურდა და როდესაც სამი მგზავრნი გაეწკაპენ მთვარის შუქზე მოჩვენებასავით იყვნენ. ვნახოთ ჰაერში მათი თავების სწორა რაღაცამ იელვა; როდესაც შეჰხედეს იმას მგზავრებმა, ის სინათლის ბურთად გადიქცა, რომელსაც თვალს ვერ გაუსწორებდით. მათ გულმა ძგერა იწყო; სული აუფრთოვანდათ და თითქმის ერთხმად წამოიძახეს: „ვარსკვლავი, ვარსკვლავი! ჩვენთანა-არს ღმერთიო!“

(შემდეგი იქნება)

მღ. კ. ანთაძე.



# განცხადება

**1905 წლის 14 იანვრიდან**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

წელიწადი მეოცდა-ცხრე.

ყოველ დღე, ორშაბათობითაც გადიდებული ფორმატით, განახლებულის რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში **პრემიად 12 წიგნს** შემდეგის სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება ხოლმე **სურათები** ⴃ სხვა-ⴃ-სხვა **ილუსტრაციები**

ფასი გაზეთისა: წელიწადში 10 მან. რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მანეთი, ვინც ნახევარ წლით, ან თვიურად გამოიწერს. უნდა შემოიტანონ თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებს და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მანეთად. ცალკე ნომერი 3 კაპ.

ფოსტ. ადრ. Тифлисъ, редакція „Иверія“.

3—1

## „მოგზაური“

**1905 წელს**

**გამოვა ყოველ-კვირეულ გაზეთად,**

ახალის სრულის პროგრამით და მიმართულებით. ფასი იგივე 5 მანეთია წელიწადში, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანოს: 3 მანეთი ხელის მოწერის დროს და დანარჩენი 2 მანეთიც პირველ მაისისათვის. პირველი ნომერი გამოვა 16 იანვარს.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «Могзаури».

რედაქტორ-გამომცემელი **ივანე პ. როსტომაშვილი.**

3—1

## ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

წ. „ცნობის ფურცელი“ მე-X.

სურათებიანი დამატებით.

ფასი გაზეთისა გაგზავნით

| კავკასიაში და რუსეთში: | საზღვარ გარეთ: |
|---|---|
| **ერთის წლით 6 მანეთი.** | **ერთის წლით 9 მანეთი.** |

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისა თანავე 4 მან. და დანარჩენიც I-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

წელიწადი „მოამბე“ მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით 10 , ცალკე № 1 მან. საზღვარ გარედ: 1 წლით —13 მან., ცალკე— № 1 მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი დ «ცნობის ფურცელი» **უფასოდ გაეგზავნება**

მხოლოდ ქალაქ გარე გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისთანავე უნდა იქნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ.)

როგორც «ცნობის ფურცლის», ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

## „დონ-კიხოტი“

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით) პრემიად დარიგებულ

**ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.**

**1905** წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ **1905** წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები, აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

**„მასალები საქართველოს ისტორიისათვის“**

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმების. ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომი.

ადრესი: Тифлисъ въ редакцію **„Моамбе“-Цнобисъ Пурцели.**

4—4



**ახალი საყმაწვილო ჟურნალი**

## „ნაკადული“

## სურათებით

**გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის**

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი ინგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

**ჟურნალის პროგრამმა**

1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა; 3) აღმოჩენათა დ მოგონებათა ქრონიკა; 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები. 5) სათამაშონი, გასართობი; რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხ.; 6) პედაგოგიური წერილები; 7) მკითხველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და 9) განცხადებანი.

**ჟურნალის ფასი:** ერთად ორივე გამოცემა ღირს 5 მ. ცალ ცალკე 3 მანეთი.

გამომცემელი ჟურნალისა **კნ. ნინო. ე. ქობულაშვილი.**

რედაქტორები { **კნ. ელ. დ. ერისთავისა.**
**ნინო ნიკ. ზურაბიშვილის.**

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, «წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.» კანცელარიაში დ ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редак. жур. „Накадули“

5—5

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1905 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

## XXII წ. „მწყემს“-ზე XXII წ.

და

## XX წ. რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე XX წ.

ჟურნალის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» | 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» | 2 მ. |
| — „ რუსული „ | 3 მ. | — „ რუსული „ | 2 » |
| — „ ორივე გამოცემა | 5 » | — „ ორივე გამოცემა | 3 » |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ქვირილაში რედაქციაში, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

---

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან ორივე ჟურნალისთვის უნდა წარმოადგინოს 3 მან. პირველ იანვარს და 2 მ. პირველ ივლისს. მარტო „მწყემსი“-სთვის: პირველ იანვარს ორი მან. და პირველ ივლისს ერთი მანეთი.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება **დ. ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

---

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

---

# საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

«ჯეჯილში» მონაწილეობას მიიღებენ, როგორც პლავ, ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლად.

რედაქცია ეცდება ხშირად ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანც. (Дворп. ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артил. ул. № 5).

ფოსტის ადრესი: **Въ Тифлисъ, въ редакцію грузин. дѣтскаго журнала „Джеджили“.**

3—2

---

# სტამბა

## ჟურნალ „მწყემსი“-ს რედაქციისა

**დ. ყვირილაში.**

ღებულობს ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს რუსულ, ქართულ და ევროპიელ ენებზე.

**სუფთად, სწრაფად და იაფად**

რაშიდაც დარწმუნდება ყოველივე საქმის დამკვეთი

# საჭირო კალენდარული ცნობანი.

კვირიაკის, ხმის და საცისკრო სახარების მაჩვენებელი 1905 წელში.

| თთვენი. | რიცხ. | კვირ. | ხმა. | საც. ს. | თთვენი. | რიცხ. | კვირ. | ხმა. | საც. ს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იანვარი. | 1 | — | 7 | დღ | | | | | |
| | 2 | — | 8 | 11 | ივლისი. | 3 | 4 | 3 | 4 |
| | 6 | — | — | დღ | | 10 | 5 | 4 | 5 |
| | 9 | — | 1 | 1 | | 17 | 6 | 5 | 6 |
| | 16 | 30 | 2 | [illegible] | | 24 | 7 | 6 | 7 |
| | 26 | 31 | 3 | | | 31 | 8 | 7 | 8 |
| | 30 | 32 | 4 | 4 | | | | | |
| თებერვალი. | 6 | 33 | 5 | 5 | აგვისტო. | 7 | 9 | 8 | 9 |
| | 13 | 34 | 6 | 6 | | 14 | 10 | 1 | 10 |
| ხორც. დაურწყება. | 20 | 35 | 7 | 7 | | 21 | 11 | 2 | 11 |
| ყველიერის დაურწ. | 27 | — | 8 | 8 | | 28 | 12 | 3 | 1 |
| მარტი. | 6 | 1 | 1 | 9 | სექტემბერი. | 4 | 13 | 4 | 2 |
| | 13 | 2 | 2 | 10 | | 11 | 14 | 5 | 3 |
| | 20 | 3 | 3 | 11 | | 18 | 15 | 6 | 4 |
| | 27 | 4 | 4 | 1 | | 25 | 16 | 7 | 5 |
| აპრილი. | 3 | 5 | 5 | 2 | ოქტომბერი. | 2 | 17 | 8 | 6 |
| | 10 | 6 | 6 | დღ | | 9 | 18 | 1 | 7 |
| აღდგომა. | 17 | 1 | დღ | დღ | | 16 | 19 | 2 | 8 |
| | 24 | 2 | 1 | 1 | | 23 | 20 | 3 | 9 |
| | | | | | | 30 | 21 | 4 | 10 |
| მაისი. | 1 | 3 | 2 | 3 | | | | | |
| | 8 | 4 | 3 | 4 | ნოემბერი. | 6 | 22 | 5 | 11 |
| | 15 | 5 | 4 | 7 | | 13 | 23 | 6 | 1 |
| | 22 | 6 | 5 | 8 | | 20 | 24 | 7 | 2 |
| | 29 | 7 | 6 | 10 | | 27 | 25 | 8 | 3 |
| ივნისი. | 5 | 8 | 7 | დღ | დეკემბერი. | 4 | 26 | 1 | 4 |
| | 12 | 1 | 8 | 1 | | 11 | 27 | 2 | 5 |
| | 19 | 2 | 1 | 2 | | 18 | 28 | 3 | 6 |
| | 26 | 3 | 2 | 3 | | 25 | 29 | 4 | 7 |

ამისთანა კალენდარული ფურცელი სხვა საჭირო ცნობებით და სურათებით გაეგზავნებათ ყველა ხელის მომწერს პირველ ნომერთანავე.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. პ. ღამბაშიძე Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе
*Дозволено цензурою* Архимандритъ Георгій 25 января *1905 г.*
Типог. редакціи журн. „Пастырь“(П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъвъ собст. домѣ.